[illegible]

# კომუნისტი

ს. ქ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

28 თებერვალი სამშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible] უქმეების [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 46 სამშაბათი, 28 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 28 თებერვალი 1922 წ. № 46

## პირველი ყრილობა

შაბათს საქართველოს მუშურ-გლეხური რევოლიუციის ერთი წლის თავზე სახელმწიფო საოპერო თეატრში გაიხსნა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა პირველი ყრილობა, საქართველოს რევოლიუციონურ მუშებისა და მშრომელი გლეხობის ეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, რომელიც ხელისუფლების უმაღლესი და უზენაესი ორგანოა მთელს საქართველოში.

ბევრს რასმეს გვეუბნება ის ჩვენ და ჩვენს იმ დაუძინებელ მტრებსაც, რომლებიც ვერ შერიგებიან იმ მარტივ და ყველასათვის გასაგებ გარემოებას, რომ მშრომელთა და დაჩაგრულთა მასსებმა ერთი წლის წინეთ ხელთ იგდეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საჭე და მით გათავისუფლეს და მოიპოვეს ის ჭეშმარიტად სოციალისტური სამშობლო, რომელიც რამდენიმე წელი ვერაგ მენშევიკების ტყვეობაში იმყოფებოდა და სულს ღაფავდა.

25 თებერვალს, სწორეთ მისი დახსნის ერთი წლის თავზე, საქართველოს რევოლიუციის ცენტრში, წითელ თბილისში, შეიკრიბენ მისი გამანთავისუფლებელნი და ერთგული დარაჯნი, საქართველოს მუშები, გლეხები, წითელ-არმიელები და მატროსები, რათა მალამო დასდონ მის იმ მწარე ტკივილებსა და ჭრილობებს, რომლებიც მიაყენეს ჩვენს ჭეშმარიტად მუშურ საქართველოს ავაზაკმა მენშევიკებმა მისი მათ ხელში ვერაგულ ტყვეობის დროს.

მუშათა და გლეხთა საქართველოს ეს უზენაესი კანონმდებელი ორგანო, საბჭოთა ყრილობა, რომელიც განაგრძობს დღეს თავის მეტად საპასუხისმგებლო მუშაობას ჩვენი სო- [illegible]

წარმომადგენლები, რომლებიც წარმოგზავნილი არიან აქ, ჩვენში ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული მთავრობების მიერ სხვა და სხვა დავალებულ მიზნებისა და დანიშნულებისათვის, მაგრამ იყვენ, როგორც სტუმრები, როგორც მაყურებლები იმისა, თუ ვინ არიან ქვეყნის ბატონ-პატრონნი და მმართველნი, და როგორ ერთსულოვნათ უძღვება თავის საკუთარ სახელმწიფო საქმეებს ბურჟუაზიის მონობისგან უკვე განთავისუფლებული ის მუშათა კლასი, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ჯერ კიდევ იმყოფება კაპიტალისტებისა და მემამულეების მძიმე უღლის ქვეშ.

მაგრამ მეტად ღირსშესანიშნავი იყო კიდევ ერთი გარემოებაც. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წარმოება და მისი წესწყობილება სტანჯავდა და მონობაში ამყოფებდა არა მარტო მუშათა კლასს, როგორც სამუშაო ძალას, რომელიც თავისი ოფლითა და შრომით ამდიდრებდა და ასუქებდა მუქთამჭამელ კაპიტალისტებს, რომლებიც თავისუფლათ ბატონობენ და ფარფაშობენ მათი ლაქიების წყალობით საქართველოშიაც 1921 წ. 25 თებერ. არა მარტო ამ მუშათა კლასს საერთოთ აღებულს, როგორც შექმნელს ზედმეტი ღირებულებისას, არამედ მუშა-ქალთა მასებსაც, როგორც ქალთა სქესის წარმომადგენლებს. კაპიტალისტური წყობილებას პირდაპირ მონობის ჯაჭვებში ყავდა მოქცეული ქალი, როგორც ვიწრო ოჯახური მდგომარეობის მხრივ, ისე მისი საზოგადოებრივის მხრივაც. 25 თებერვლის მუშათა რევოლიუციამ ჩვენშიაც გაანთავისუფლა ასეთ ტანჯვა-წამებაში მყოფი დედაკაციც და ფართო ასპარეზი მისცა [illegible]

ხ. ანდრიაძე.

## საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

**საზეიმო სხდომა საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნა სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში საღამოს 7 ს. და 37 წუთ**

### ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ყრილობა გახსნა ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვით:

„ამხანაგებო! შეკრებილია 276 დელეგატი 350-დან გადამწყვეტი ხმით, აგრეთვე 69 სათათბირო ხმით. სულ აქ იმყოფება, როგორც სათათბირო ისე გადამწყვეტი ხმით 345. ამიტომ საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის სახელით საქართველოს მუშების, გლეხების დ წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოთა პირველ ყრილობას გახსნილად ვაცხადებ. (ტაში ინტერნაციონალი).

ამხანაგებო! აღსრულდა ერთი ჩვენი უდიდესი ნატვრა საქართველოს, რევოლიუციონური მთავრობის და საქართველოს მუშების და გლეხების ერთი უდიდესი სურვილი.

ამიტომ საქართველოს რევოლიური მთავრობის სახელით მე ვესალმები საბჭოთა საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა სრულ უფლებიან ყრილობას. (ტაში).

ამხანაგებო! გავიდა ერთი წელიწადი და ეს საგულისხმოა მით, რომ სწორეთ წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში, ეს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი მთელი ხალხისა, დღეს აქ წითელ თბილისში არის შეკრებილი. თითეულ ჩვენ მუშას, თითეულ ჩვენ გლეხს დღეს კმაყოფილებით შეუძლიან სთქვას, რომ ის ბედნიერია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მშრომელი ხალხი გმინავდა გამოუთქმელ მონობის უღელ ქვეშ. ეს გმინვა არ შეჩერებულა აქ იმ დროსაც კი, როცა აქ „სოციალისტები“ ბატონობდენ. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში, ჩვენ მშრომელ ხალხს ბევრი უბედურება გადახდა თავს. ის ათასგვარი ვაი-ვაგლახი და უბედურება, რომელიც მან განიცადა ამ ხნის განმავლობაში, არასოდეს არ დარჩება დავიწყებული. და დღეს, როცა ჩვენ აქ შევიკრიბენით, ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ამ ერთი წლის ჩვენი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში ბრწყინვალით დაგვირგვინდა მთელი მშრომელი ხალხის შემწეობით. ის შენობას რომელსაც ჩვენ შეუდექით ამ ერთი წლის წინათ, შენობა ჩვენი მუშურ გლეხურ სახელმწიფოისა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მუშაობა ხდებოდა უზომოდ მძიმე პირობებში, მაინც წარმატებით დასრულდა. ჩვენ შეუდრეკლად მივდივართ წინ.

თქვენ იცით, ამხანაგებო რომ ამ გზაზე ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება გვხვდებოდა, ბევრი რამ არ გვიწყობდა ხელს ამ მუშაობაში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მუშაობას არ ჩაუვლია უშედეგოთ, და გამოიღო ის ნაყოფი, რომელსაც ჩვენ ერთი წლის განმავლობაში მოველოდით, ჩვენ კიდევ ბევრი სიძნელე გვიძევს წინ. არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ. უკვე თავი დავახწიეთ ყველა დაბრკოლებებს, რომელიც დღეს გზაზე გვაქვს. ყვენ მომავალში კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, რომ მთელი მშრომელი კლასის განთავისუფლება სავსებით შესრულებულ იქნეს ჩვენ, ამხანაგებო, ის კავშირი, რომელიც წინეთ არსებობდა რუსეთის მუშებსა და გლეხების შორის და იმავ დროს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, ის კავშირი, რომელიც ხელოვნურად დარღვეულ იქნა, ხელახლად აღვადგინეთ. (ტაში).

ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ დანამდვილებით, ამხანაგებო, რომ ქართველი მშრომელი ხალხი რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც რუსეთის გლეხებთან და მუშებთან, ისე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, დგა, იმ მკვიდრ ნიადაგზე, რომელზედაც ის არასოდეს ჯერ არ ყოფილა (ტაში). თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა სიცრუისა და ტყუილების ქსელია [illegible] ჩვენს გარშემო. თქვენ ყოველ [illegible] ნაბიჯზე გეუბნებიან, რომ ქართველ ხალხს უსპობენ თვითგამორკვევას და დამოუკიდებლობასო. ამხანაგებო, ყველას დამშვიდებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არასოდეს ქართველი მშრომელი ხალხის ნამდვილი დამოუკიდებლობა არ ყოფილა ისეთ მტკიცე ნიადაგზე, რომელზედაც ის სდგას დღეს (ტაში. რომ ეს დამოუკიდებლობა, და ნამდვილი თავისუფლება უზრუნველ ყოფილია, ამას მოწმობს, ამხანაგებო, ეს ყრილობაც, რომელიც დღეს აქ გამართულია, და აგრეთვე ის ყრილობები, რომელიც ხდებოდენ ჩვენ მაზრებში, ჩვენ სოფლებში და ჩვენ დაბებში. არასოდეს არ უნახავს ქართველ ხალხს, ქართველ გლეხებს და მუშებს ეს თავისუფლება, ეს დამოუკიდებლობა ყოველგვარ თავის საქმეებში, რასაც დღეს ჩვენს საბჭოთა ხელისუფლების დროს ვხედავთ. ჩვენს ხალხს, ამხანაგებო, დიდი ბრძოლა გადახდა, სანამ ჩვენ მოვიპოვებდით იმ უფლებას, რომლითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ ნიადაგზე დიდი სისხლის ღვრა მოხდა, როცა ჩვენს ხალხს გამოუჩნდნენ არამკითხე ოპეკუნები, რომ მას თავზე მოახვიეს ძველი, როგორც შინაური, ისე გარეული მებატონეების სურვილები. ჩვენი მშრომელი ხალხი ამას ვერ შეურიგდა, როცა ამ არამკითხე ოპეკუნებმა და მზრუნველებმა გლეხკაცობას არ შეუსრულეს მისი ძირითადი მოთხოვნილებანი, ეს გლეხკაცობა, თქვენ იცით, იბრძოდა თავისუფლების მოსაპოებლად. ეს ბრძოლა ამხანაგებო, არ შეჩერებულა იქამდე, სანამ საქართველოში არ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დღეს, როცა ჩვენ აქ შეკრებილი ვართ, როცა ჩვენ ერთის მხრივ ვსიამოვნებთ და ვამაყობთ, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა გადაიძრო თავის კისრიდან მძიმე მონობის უღელი. უწინარეს ყოვლისა. ჩვენ უნდა გავიხსენოთ ის გმირები, ის მებრძოლნი, რომლებმაც თავი შესწირეს სწორედ ამ თავისუფლების მოპოებას, ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ, ამხანაგებო, ის მუშები და გლეხები, რომელნიც ტანჯულ-წამებულნი იქნენ ამ ბრძოლაში. მე გთხოვთ, ამხანაგებო, ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ათ ხსოვნას.

(დელეგატები ფეხზე სდგებიან. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ამხანაგებო, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს თავისუფლებას, მუშათა და გლეხთ ხელისუფლებას, ჩვენში იმდენად აქვს მკვიდრი ნიადაგი, იმდენად უზრუნველყოფილია მისი ეს თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა, რამდენადაც შეურყევლად დაამკვიდრა და განაგრძობს თავის მოღვაწეობას საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა და მისი უზენაესი ორგანო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა მთელი ფედერაციის მუშათა მოძრაობის რევოლიუციის სულის ჩამდგმელნი არიან დიდი რუსეთის, დიდი საბჭოთა რუსეთის, ხელმძღვანელები და მეთაურები. ჩვენმა პირველმა ყრილობამ თავის პირველ სხდომაზე უმხურვალესი სალამი უნდა გაუგზავნოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რუსეთის მუშათა და გლეხთა წითელ არმიელების დეპუტატებს, საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს, მის მეთაურებს—ამხ. ლენინს და კალინინს (ტაში მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ჩვენი მხურვალე სალამი უნდა უძღვნათ, ამხანაგებო, აგრეთვე იმ ძალის, რომელზედაც ემჯინება დღეს მთელი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა. იმ ძალას, რომელმაც ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, რომ მარტო მუშებსა და გლეხებს შეუძლიანთ შექმნან დაუმარცხებელი ძალა და ეს ძალა კი როგორც იცით გახლავთ წითელი არმია (ტაში).

ჩვენი მხურვალე სალამი წითელ რუსეთის წითელ ჯარს და მის ხელმძღვანელებს—ტროცკის და სხვებს (ტაში), ჩვენი მხურვალე სალამი აგრეთვე ჩვენ მოძმე რესპუბლიკების გამომხატველ ორგანოებს—იმათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ე. ი. აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა მთავრობებს, იმათ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ტაში).

ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტ. სახელით (ტაში), თქვენ იცით ამხანაგე-

## ორი დროშა *)

(წლის თავის გამო)

ინტერნაციონალიზმი და ნაციონალიზმი,—აი ორი დროშა, [illegible] ნაციონალიზმი ქადაგებს კლასთა სოლიდარობას, შეთანხმებას, მორიგებას, თანამშრომლობას, ჰარმონიას სახელმწიფოს შიგნით და შეურიგებელ ბრძოლას—უცხო ნაციების, სახელმწიფოების წინააღმდეგ. ნაციონალისტისათვის შინაური ბურჟუა და პროლეტარი, სიტყვით ერთნაირათ ძვირფასია. უცხო ბურჟუა და პროლეტარი კი—„ერთნაირათ“ სიძულველი და სამტრო.—ინტერნაციონალიზმი ერთნაირათ იცავს პროლეტარების ინტერესებს, როგორც შინ, ისე გარეთ. ინტერნაციონალისტისთვის ერთნაირათ ძვირფასია, როგორც შინაური, ისე „უცხო“ პროლეტარი. მისთვის ერთნაირათ საძულელია და საბრძოლველი, როგორც შინაური, ისე გარეშე ბურჟუა-კაპიტალისტი. ინტერნაციონალიზმი ერთნაირათ აერთიანებს და რაზმავს, როგორც შინაურ პროლეტარებს შინაური ბურჟუების წინააღმდეგ, ისე მთელი ქვეყნის პროლეტარებს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. **დროშა ინტერნაციონალიზმის—კომუნიზმის დროშაა, ისე როგორც ნაციონალიზმის დროშა—დროშაა კაპიტალიზმის.**

**მენშევიზმის დროშა—იგივე ნაციონალიზმია** ე. წ. „დემოკრატიზმის“ სამოსელში. მენშევიკური „დემოკრატიზმი“ ნიშნავს წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ყველაზე უფრო უხეშ, ტლანქ და ტიტველ შოვინიზმს, მიმართულს მუშათა კლასის და მისი კლასიური იდეალის—კომუნიზმის წინააღმდეგ. მენშევიკური „დემოკრატია“,—ეს წვრილ ბურჟუაზიული კლასის უაღრესათ ტლანქი და ბარბაროსული დიქტატურაა, მიმართული პროლეტარიატის და პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ.

**ბოლშევიზმის დროშა-კი—ინტერნაციონალიზმის დროშაა.** ბოლშევიკური დემოკრატია,—ეს საბჭოთა დემოკრატიაა, რაც ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურას, მიმართულს კაპიტალიზმის დასამხობათ და კომუნისტური რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

ქართველი მშრომელი ხალხი ერთ დროს ცნობილი იყო მთელ ამიერკავკასიაში, როგორც მატარებელი ინტერნაციონალური მიდრეკილებისა. მაშინ ქართველი ხალხის დროშა იყო დროშა ინტერნაციონალიზმისა, როგორც მეზობელ ხალხთა ისე რუსეთის მუშების და გლეხების მიმართ.

მენშევიკების სამი წლის სისხლიანი ბატონობის დროს საქართველოში, ჩვენი მშრომელი ხალხის საგრძნობი ნაწილი გაიმსჭვალა ნაციონალისტურ-შოვინისტური მიდრეკილებით. ქართველი მუშა, ქართველი გლეხი, რომლებიც იდგენ მენშევიკური ყვითელი დროშის ქვეშ და რომლებმაც ერთხელ და სამუდამოთ შეფიცეს ნ. ჟორდანიას „დემოკრატიულ“ (ანუ კონტრრევოლიუციონურ) დროშას, გახდენ უაღრესი შოვინისტები, როგორც ახლობელ, ისე მეტადრე—შორეულ „უცხო“ მშრომელთა მიმართ. მთელი სამი წლის განმავლობაში მენშევიკური ანუ „დემოკრატიული“ და „დამოუკიდებელი“ საქართველო წარმოადგენდა კონტრრევოლიუციის ბანაკს, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძოდა საბჭოთა ანუ კომუნისტური რევოლიუციას. სიტყვით „დამოუკიდებელი“ საქართველო საქმით იყო დამონებული მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ დ **დამოუკიდებელი პროლეტარული რევოლიუციისაგან**. სიტყვით „დემოკრატიული“ საქართველო საქმით წარმოადგენდა ისეთ სახელმწიფოს, სადაც ჩვენი „ნორჩი“ ბურჟუაზია მენშევიკების ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, იზრდებოდა, სუქდებოდა და იფურჩქნებოდა ქართველი მუშების და გლეხების ოფლით და სისხლით.

თებერვლის გადატრიალებამ ერთი წლის წინეთ რადიკალურათ შეცვალა გარემოება.

მენშევიკური საქართველო იქცა ბოლშევიკურ საქართველოთ; „დემოკრატიული“ რესპუბლიკა გარდაიქმნა საბჭოთა რესპუბლიკათ; წვრილ ბურჟუაზიული დიქტატურის ქვეყანა შეიცვალა მუშების და ღარიბი გლეხობის დიქტატურათ; ბუნაგი იმპერიალისტური კონტრრევოლიუციისა გადაიქცა პროლეტარული რევოლიუციის გუშაგათ. მენშევიკური საქართველო, როგორც ერთი რაზმი მსოფლიო იმპერიალიზმისა, გახდა მსოფლიო **კომუნიზმის რაზმათ**; სიტყვით „დამოუკიდებელმა“ და საქმით დამონებულმა ქართველ ხალხმა მოიპოვა ნამდვილი დამოუკიდებლობა შინაურ და მსოფლიო კონტრევოლიუციისაგან და აღადგინა, განამტკიცა ძმური კავშირი დიდი რუსეთის საბჭოთა ფედერაციასთან. ამით საქართველო და ქართველი ხალხი საბოლოოთ ჩადგა მსოფლიო რევოლიუციის ფერხულში.

რას მივაღწიეთ ჩვენ ამ ერთი წლის განმავლობაში დღიდან თებერვლის გადატრიალებისა? ჩვენ მოკლეთ აღვნუსხავთ მხოლოთ უმთავრეს მომენტებს.

რევკომთა სისტემა, სისტემა „ზევიდან“ დანიშნული ხელისუფლებისა ორგანოებისა, დღეს უკვე შეიცვალა ნამდვილი საბჭოთა სისტემით. დღეს საქართველოს უკვე ყავს ნამდვილი ხელმძღვანელი და ბატონ-პატრონი მთელი ქვეყნის საბჭოების სიეზდის სახით. ეს სიეზდი არჩეულია შეგნებულად და თავისუფლათ საქართველოს მუშების და გლეხობის დიდი უმრავლესობის მიერ. მაშასადამე, ეს ყრილობა არის უტყუარი გამომხატველი საქართველოს მშრომელი ხალხის თავისუფალი ნების ყოფისა და სულის კვეთების. ეს ფაქტი მომასწავებელია იმის, რომ ქართველმა ხალხმა სამუდამოთ უარყო და ზურგი შეაქცია „დემოკრატიულ“ რეჟიმს და აირჩია გზა ოქტომბრის რევოლიუციისა, მშრომელთა დიქტატურისა. ამ ფაქტმა სავსებით გააბათილა მენშევიკების მტკიცება და უტიფარი ჩმახვა იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხს ძალით ახვევენ თავზე საბჭოთა რეჟიმსო, რომ იგი ჯერ არაა „მომწიფებული“ პროლეტარული რევოლიუციისათვისო.

მარა ეს ფაქტი მოწმობს ერთ უდიდეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში აშკარათ აღიარებას ერთ გრანდიოზიულ მონაპოვარს პროლეტარული რევოლიუციისა ჩვენში: ქართველმა ხალხმა საბჭოებში გაიყვანა დიდი უმრავლესობა კომუნისტებისა და მაშასადამე, მან სამუდამოთ დაგმო გზა სამარცხვინო ნაციონალიზმისა და აირჩია გზა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, გზა მსოფლიო რევოლიუციისა. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს უდიდესი მონაპოვარია ოქტომბრის გადატრიალებისა საქართველოში, ვინაიდან კომუნიზმს არ ჰყავს მტერი, უფრო ძლიერი და საშიშარი ვიდრე ნაციონალიზმი, სულ ერთია ვისი დროშაც არ უნდა იყოს იგი: იმპერიალიზმის, თუ „დემოკრატიზმის“.

მიწის საკითხი ჩვენში, როგორც უაღრესად აგრარული, გლეხურ ქვეყანაში, კაი ხანია გადაჭრილია რადიკალურად, თანახმად ოქტომბრის დიადი ლოზუნგებისა, მარა პრაქტიკულად ეს დიდი საქმე სავსებით გატარდება სულ ახლო მომავალში. **მიწა მხოლოდ მიწის მუშას**,—აი ჩვენი აგრარული რეფორმის დიდი დედააზრი, რომელიც ხვალ ურყევ ფაქტად გახდება. ის ფაქტი, რომ ღარიბი გლეხობის დიდმა უმრავლესობამ აირჩია კომუნისტური საბჭოები, იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ხალხი სავსებით კმაყოფილია ამ გრანდიოზული რეფორმის პირველი ნაბიჯებით და ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ ბოლშევიზმი ამ სფეროშიაც სავსებით განახორციელებს თავის დანაპირებს და გაამართლებს მშრომელთა და ტვირთმძიმეთა იმედებს.

საქართველოს კომპარტიის პირველი თავისუფალი სიეზდის, წითელი პროფკავშირების მეორე სიეზდი, საქართველოს მუშების, გლეხებისა და წითელ-არმიელთა წითელი საბჭოების პირველი ყრილობა, წყეული ნაციონალიზმის დაძლევა და ინტერნაციონალიზმის განმტკიცება,—აი რა მოგვცა პირველმა წელმა ოქტომბრის გადატრიალებისა ჩვენში. ქართველი ხალხი სამუდამოდ დაშორდა მენშევიზმს, იგი სამუდამოდ დადგა ბოლშევიზმის დროშის ქვეშ, ამიერიდან მას ვერ გადაახვევინებს ამ გზიდან ვერავითარი ძალა. ამიერიდან ქართველი ხალხი წითელი ფედერაციის მშრომელებთან ხელი ხელ ჩაკიდებული, შეურყევლად და შეუპოვრად წავა წინ წითელი ვარსკვლავისაკენ მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდე.

ძირს იმპერიალიზმი და მისი დამქაში—მენშევიზმი!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

თ. კალანდაძე.

*) ეს წერილი უნდა დაბეჭდილიყო 28 თებერვლის ნომერში, [illegible]

რედაქცია.

ბო, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც კომუნისტური პარტია ფხიზლად და ერთგულად უდგა დარაჯად მთელ მუშათა მოძრაობას. დღეს ამ პარტიას შეუძლიან სიამოვნებით მოგმართოს თქვენ, რომ მის შრომას არ ჩაუვლია უნაყოფოთ. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ კომუნისტური პარტია, ეს იგივე სამხედრო რაზმია, რომელიც მუდამ მზადაა რომ სიტყვით, იარაღით დაიცვას კლასის ინტერესი. მე სწორეთ ამ პარტიის სახელით გისურვებთ თქვენ ნაყოფიერ მუშაობას (ტაში. ხორო ასრულებს ინტერნაციონალს).

**პრეზიდიუმის არჩევა.**

ამის შემდეგ ერთხმათ არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი. თანახმათ ყრილობის კომფრაქციის წინადადებისა არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1. მახარაძე ფილიპე (ტაში), 2. ორახელაშვილი მამია (ტაში), 3. ორჯონიკიძე სერგო (ტაში), 4. ოკუჯავა მიშა (ტაში), 5. გეგეჭკორი ალექსანდრე (ტაში), 6. თოდრია სილიბისტრო (ტაში), 7. ოქუაშვილი არაქელ 8. დუმბაძე ლადო, 9. ნაზარეტიანი ამაიაკ, 10. ტოროშელიძე მალაქია (ტაში), 11. ბუდუ მდივანი (ტაში), 12. კიროვი, 13. საბაშვილი პარმენი, 14. პაპუნაშვილი ბაბალე, 15. ლაკობა, 16. მამულია სამსონ, 17. ცინცაძე ა. 18. ნასარიძე დათიკო, 19. სტურუა ვანო, 20. გაგლოევი სერგო, 21, ვარამიშვილი მოსე, 22. შაბინოვი, 23. ლისოვსკი, 24. ღლონტი თედო, 25. ბლიაძე დათიკო, 26. ხიმშიაშვილი.

**საპატიო თავმჯდომარეები.**

კომუნისტური ფრაქციის წინადადებით ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩია ამხანაგები: კალინინი, ლენინი, ტროცკი, სტალინი და ცხაკაია.

**მისასალმებელი დეპეშები.**

კომუნისტური ფრაქციის წინადადებით გადაწყდა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები, როგორც მესამე ინტერნაციონალს, ისე რუსეთის კომუნისტურ პარტიას (ტაში).

**მისალმებანი.**

შემდეგ იწყება მისასალმებელი სიტყვები.

**საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ლეგრანი.**

ამხანაგებო, საქართველოს მუშათა და გლეხთა პირველი ყრილობის დეპუტატებს, მოგესალმებით საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელით. ამხანაგებო, საქართველო უფრო დიდხანს, ვიდრე სხვა ხალხები და რესპუბლიკები კავკასიისა, იმყოფებოდა მსოფლიო რევოლიუციის გამცემ მენშევიკების ტყვეობაში, საქართველო კავკასიის რესპუბლიკებიდან უკანასკნელად შეუერთდა საბჭოთა დიდ რესპუბლიკებს და შეიძლება ამით გაუძნელდა გადაელახა დაბრკოლებები და დიდი ბრძოლა მოუხდა მას მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად. შეიძლება ამით აიხსნას, ის რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა გამარჯვება დიდ მნიშვნელოვანია საბჭოთა რუსეთისათვის. ამხანაგებო; თქვენი ხელისუფლება სარგებლობს დიდის ყურადღებით. ის ფაქტი, რომ თქვენ აღმართეთ საბჭოთა დროშა შავი ზღვის ნაპირებზე, ეს ფაქტი კოლოსალურია: მთელი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა საშუალება თვალყური გვედევნებინა საბჭოთა ხელისუფლების განვითარებისა და გამაგრებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ყრილობა უფრო განამტკიცებს იმ ხელისუფლების საფუძველს, რომელიც წასულ წელს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეთ. ვათავებ ჩემს მოკლე მისალმებას და მოგმართავთ შემდეგი სურვილებით: ოთხი წლის რევოლიუციონურ ბრძოლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მშრომელი მასსის მედგარი რევოლიუციონერობა მტკიცდება თავისუფლების საფუძვლის—წითელი არმიის შექმნით.

ნება მომეცით, ამხანაგებო, გისურვოთ, რომ ამ პირველ საბჭოთა ყრილობის მუშაობის შედეგათ ყოფილიყოს შექმნა მძლავრი წითელი არმიისა საქართველოში. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს ძმურ კავშირს საბჭოთა საქართველოისას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

(ტაში. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს).

**რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ორჯონიკიძე.**

გულითადი მხურვალე სალამი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით მუშების, გლეხების წითელ ლაშქრის საბჭოთა პირველ ყრილობას (ტაში) ამხანაგებო, ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთად (მე ვამბობ რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ვინაიდან საქართველოს კომუნისტური პარტია ღვიძლი შვილია და განუყოფელი ნაწილი რუსეთის კომუნისტური პარტიისა. (ტაში). ერთი წლის წინად გადაწყვიტა განედევნა საქართველოდან მენშევიკები და მათ მაგივრად დაემყარებია აქ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ეს გადაწყვეტილება იქმნა მიღებული და ასრულებული. წარსული წლის 25 თებერვალს, აქ, ტფილისში, აფრიალდა წითელი დროშა საბჭოთა ხელისუფლებისა. და აი ერთმა წელიწადმა გაიარა. ჩვენი მტრები მენშევიკები და სხვა ჯურის ნაციონალისტები ბრძანებდნენ: საქართველოს კომუნისტებმა უღალატეს საქართველოს, მათ დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მათ შემოუსიეს საქართველოს რუსეთის ჯარი, გააუბედურეს საქართველო, დაუკარგეს დემოკრატიული წესწყობილებაო. დღეს, როცა თქვენ ნამდვილი ბატონ-პატრონი საქართველოს მიწა-წყალისა, საქართველოს მუშები და გლეხები შეკრებილხართ აქ, თქვენს წინაშე ვთქვათ: არიან მართალი ისინი, თუ ჩვენ? რაშია საქმე? ამბობენ, რომ რუსეთის ჯარი შემოიყვანეს საქართველოში და ამ ჯარით საქართველოს დამოკიდებლობა მოსპესო. უკაცრავათ, იყვენ თუ არა აქ წარსულში სხვა ჯარები? იყვნენ აქ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნის ჯარები. რას აკეთებდნენ ისენი?! რისთვის მოვიდნენ? საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავათ, თუ არა? არა! ეს ჯარები არამც თუ საქართველოს დამოუკიდებლობას არ იცავენ, არამედ ერთს საუკეთესო სახელმწიფოს, რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში ყველაზე უფრო კულტურულია,—გერმანიას, მიწასთან ასწორებენ და ნუთუ მათ უფლება აქვთ გვითხრან, რომ ჩვენ ჯარი შემოვიყვანეთ, და ამ ჯარით თქვენ დაგიცავთო. არა. ისინი მოვიდნენ აქ რომ დაეცვათ მემამულეების ძალაუფლება. ბაქოში ისინი იცავდნენ როტშილდს, ნობელს, ხანხოისკის და სხვებს, აქ-კი იცავდნენ მენშევიკებს, რომლებმაც არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთშიაც და მთელ მსოფლიოშიც უღალატეს მუშათა კლასს და შეიქნენ ბურჟუაზიის და იმპერიალიზმის უბრალო ლაქიები. ეს მენშევიკების პარტია, რომელიც უბრალო მონაა და ლაქია იმპერიალიზმისა, გაიძახის: შემოიყვანეს რუსის ჯარი და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპესო. მართალია ეს? დიაღ, ჩვენ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი თეთრი ჯარის წინააღმდეგ, ჩვენ შემოვიყვანეთ რუსეთის მუშების და გლეხების შვილები, რუსეთის წითელი დროშის ქვეშ, წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისა. დიახ, ჩვენ შემოვიყვანეთ ჯარი, რომელიც დღეს თქვენ გოგებებათ აქ, და ნუ თუ ვინმე თქვენგანი, აქ მყოფნი გვეტყვის. რომ ეს რუსის ჯარი არ არის საჭირო, რომ დაცული იყვეს საქართველო იმ ომებისაგან, რომლებიც აქ სწარმოებდა განუწყვეტლივ სამი წლის განმავლობაში; ვინაიდან ამ სამი წლის განმავლობაში მენშევიკების დროს ომი იყო სომხებთან, იყო ომი ოსებთან, იყო აფხაზეთთან, იყო ომი აჭარლებთან, იყო ომი ოსმალეთთან, იყო ომი ადერბეიჯანთან, ომი და მუდამ ომი!

წითელი ჯარი ჩვენ შემოვიყვანეთ აქ, საქართველოში, და იგი ამ ერთი წლის განმავლობაში იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, იცავს მის მშვიდობიანობას, ამ ერთი წლის განმავლობაში ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა არც ქართველი მუშისა და გლეხის, არც ოსის, არც აჭარელის და აფხაზის.

აი, ამხანაგებო, ასეთი უბედურება მოვაყენეთ ჩვენ, კომუნისტურმა პარტიამ და წითელ ლაშქარმა. გინდათ ომი—გავიდეს წითელი ლაშქარი და დაესიეთ ერთმანეთს. მაგრამ მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ამ დარბაზში არ მოიპოება ისეთი პირი, რომელიც ამას მოითხოვდეს. მე სრული დარწმუნებული ვარ და 25 თებერვალს, შარშანაც, როცა ბაქოში ამხ. ელიავასაგან ოთხი სიტყვით მომივიდა დეპეშა, რომ თბილისში ფრიალებს წითელი დროშაო, მე დარწმუნებული ვიყავი და ამ რწმენით გამსჭვალული მოვდიოდი აქ, რომ ქართველი მუშა და გლეხი არასოდეს არ წავა წინააღმდეგ იმ წითელ დროშისა, რომლითაც ჩვენ მოვედით. აი, ამხანაგებო, დღეს თქვენ შეხვდით მათ მისალმებით და ისინიც მოგესალმენ თქვენ. ეს განწყობილება, ეს კავშირი ჩვენ და მათ შორის მეტად მტკიცეა.

ხოლო საზღვარ-გარეთ კი გაიძახიან, რომ ჩვენ დავღუპეთ დამოუკიდებლობა. მაგრამ როგორი იყო ეს დამოუკიდებლობა?

ჩვენ დავკარგეთ ის დამოუკიდებლობა, რომელიც დამოკიდებული იყო ინგლისისაგან, საფრანგეთისაგან, იტალიისგან, დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისაგან. დიახ, ეს დამოუკიდებლობა დაიღუპა და მასთან ერთად დაიღუპა საქართველოს მენშევიზმიც. მხოლოდ დღეს არის ნამდვილი მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობა და ვისაც უნდა გამოვიდეს და დაგვიმტკიცოს, ახსოვს თუ არა ამ დარბაზს, რომ აქ მშრომელი ხალხი შეკრებილიყოს და ეთქვას: მე ვარ ბატონ-პატრონი საქართველოსიო. არასოდეს არც ერთხელ ეს არ ყოფილა და არც იქნებოდა უჩვენოთ.

მეორე საკითხი. ამბობენ: „დემოკრატიზმი“ დაიღუპაო, დაიღუპა დემოკრატიული რესპუბლიკაო. დიახ, ის „დემოკრატიული“ წესწყობილება, რომელიც ჰქონოდათ მენშევიკებს, რომელიც მათ სწამდათ და რომელიც ჩვენ დავამხეთ, ჩვენ არ გვწამდა და არც გვინდა. ჩვენ გვწამს ნამდვილი დემოკრატიზმი. მენშევიკური დემოკრატიზმი არის ისეთი, როცა უფლება აქვს ხალხის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს როგორც მდიდარმა, ისე ღარიბმა, როგორც მღვდელმა ისე ბერმა, როგორც ჩინოვნიკმა ისე სხვამ. ჩვენ ვამბობთ, როცა მუშა ხალხის დიქტატურა არის, როცა არის საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს აქვთ მართვა-გამგეობის უფლება.

აი, ჩვენ, ამხანაგებო, შეკრებილი ვართ აქ. და ვერავინ გვეტყვის, რომ ამ დარბაზში არ არის მუშათა და გლეხთა და წითელ არმიელების წარმომადგენლები. ჩვენ ეს დემოკრატია გვწამს და მას ვემსახურებით. ჩვენ მასთან ვიბრძვით და ამ ბრძოლაში მასთან ერთად ან გავიმარჯვებთ, ან დავიღუპებით. ის დემოკრატია კი, რომლის მეთაურებიც მენშევიკები იყვნენ, არ გვწამდა, მას მუდამ ვებრძოდით. და აი, ამხანაგებო, ამ აზრითა და მიზნით შემოვედით ჩვენ საქართველოში. ბევრი იძახის—საქართველოს კომუნისტებმა საქართველო გაყიდესო, ბევრი იძახის, რომ საქართველოს კომუნისტები მოღალატეები არიან, მაგრამ არ ვიცი, ისინი არიან მოღალატეები, რომელთაც გაძარცვეს საქართველო და წავიდნენ დასავლეთ ევროპაში და იქ გენდერსონის, ლოიდ-ჯორჯის, ბრიანის და სხვა ჯურის იმპერიალისტებთან ერთად უნდათ კვლავ შემოესიონ საქართველოს და გადააქციონ საქართველო ბრძოლის ასპარეზად, თუ ჩვენ, რომელნიც აქ თქვენთან ვართ და ვიქნებით მუდამ ერთად.

მაშ, ამხანაგებო, ნება მომეცით, გულით ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა ჩვენ პირველ ყრილობას.

გაუმარჯოს საბჭოთა საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს ჩვენ მჭიდრო კავშირს, ჩვენ მეგობარ ძმურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

გაუმარჯოს ჩვენ პირველ ყრილობას.

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას.

(ტაში—ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით კრებას ესალმება ამხ. კიროვი.

**ამხ. კიროვი.** (მქუხარე ტაში), სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, საქართველოს მიწა-წყლის ნამდვილ ბატონ-პატრონთ, (ტაში) ამხანაგებო, პირველი თქვენი ყრილობა შეიკრიბა ფრიად მნიშვნელოვან დროს. თქვენ იცით რომ ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლების მეთაურის რუსეთის თავზე მოხლავდა ახალი საშიშროება. თქვენ იცით, რომ ანტანტის წარმომადგენლების პირით, რუსეთი მიწვეულ[...] გენუის გოლგოთაზე. თქვენ [...] რომ იქ დღე და[...] შაობა იმ მიზ[...] შეიძლება მალე ჩააჩრონ მუშათა გლეხთა რუსეთი და მასთან [...]თად ყველა საბჭოთა რესპუბ[...]ლიკები. მაგრამ, ამხანაგებო, ამ[...]ბენ, საშიშარია ეშმაკი, მაგრამ მო[...]ყალეა ღმერთიო. გამოირკვა, რომ დრო დანიშნული საბჭოთა რუსეთ[...] დახრჩობისათვის გამოდგა ძლიერ [...]ტარა და ამ ჟამად კაპიტალის[...] ქურუმნი ლაპარაკობენ მასზე, რომ ეს გოლგოთა გადასწიონ უფრო შო[...] თქვენ იცით, რომ თითქოს ოფიცი[...]ლურად დადასტურებულია გენუ[...] კონფერენციის გადადება, თქ[...] იცით, ამხანაგებო, ისიც, რომ მუ[...]თა და გლეხთა რუსეთის წარმომ[...]გენლებს წინადადება მიეცემათ [...] კონფერენციაზე გადასწყვიტონ სა[...]თხი ხალხის ეროვნული თვითგამო[...]კვევის შესახებ.

თქვენ იცით, რომ ყვითელი სო[...]ციალისტების აზრით, ეს საკით[...] ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილ[...] მუშათა და გლეხთა ხელისუფლებ[...] პროგრამაში და დამტკიცებაში. ის[...]ნი ფიქრობენ, რომ ჩვენ ეროვნულ[...] თვითგამორკვევის საკითხს გადავჭრ[...] უბრალო შეიარაღებული ძალით სა[...]ბჭოთა ხელისუფლების დამყარებ[...] მეზობელ ქვეყნებში. ჩვენ დიდი სი[...]მოვნებით ვეგებებით ამ გამოწვევ[...] და ღრმა კმაყოფილებით დავსვამ[...] ეროვნულ თვითგამორკვევის საკით[...] გოლგოთას პროგრამაში. ჩვენ ვიცი[...] რომ ქართველი მენშევიკები მიიღ[...]ბენ ყველა ზომებს, იმისთვის, რომ ჩვენ მოგვთხოვენ მივსცეთ ქართვ[...] ხალხს საშუალება, რათა მათ თავ[...] ხელისუფლების გამორკვევას საკით[...]ში თავისუფლად გამოსთქვან თავი[...] ნებისყოფა. მაგრამ მე მგონია, რომ ტყუილია ამისათვის გენუას კონფე[...]რენციის ცდა; მე მგონია, რომ დღ[...] აქ გახსნილი პირველი საქართველო[...] საბჭოთა ყრილობა ყოველგვარ კონ[...]ფერენციის გარეშე დაამტკიცებ[...] ვისზე ლოცულობს და ვინ სწამს ქა[...] თველ მუშას და ქართველ გლე[...] (ტაში). თუ ქართველი მენშევიკე[...] გენუას კონფერენციაზე კიდევ [...] კიდევ იმეორებენ თავის ახირებუ[...] აზრს „საქართველო ქართველებისა[...]თვის“, მაშინ თქვენ კონფერენციაზ[...] ხმა მაღლა უნდა სთქვათ: „დიაღ, სა[...]ქართველო,—საქართველოს მშრომ[...]ელთათვის“. მაგრამ ჩვენ მივ[...]ღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ სა[...]კითხი ხალხის თავისუფალი თვით[...] გამორკვევისა დაისვას, რაც შეიძლ[...]ია ფართოთ. ჩვენ გავსწევთ საქარ[...]თველოს ფარგლებს და წინადადება[...] მივსცემთ შეიმუშავონ ეს საკით[...] მსოფლიო მაშტაბით. (ტაში) აქ ჩვე[...] შევძლებთ ვსთქვათ, რომ ის რა[...]

# ერთიანი მუშათა ფრონტი

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 44).

**2. კაპიტალის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ.**

მთელი მსოფლიოს ყველა მეურნეობის მხრივ ცოტათ თუ ბევრათ განვითარებული ქვეყნები ისეთი ათასგვარი ეკონომიური ძაფებით იყვენ ერთი მეორეზე გადანასკული ომამდე, რომ თითეული მათგანის ცალკე, დამოუკიდებლათ არსებობა, როგორც წარმოების მხრივ ერთი მთლიანი ეკონომიურ ერთეულის, პირდაპირ წარმოუდგენელი იყო.

მაგრამ საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა სულ ერთიანათ დასწყვიტა ეს უხილავი ძაფები და კატასტროფამდე მიიყვანა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა. ამას გარდა მან შეიწირა ის აუარებელი დაგროვილი სიმდიდრე, რომელიც შექმნილი იყო მუშათა კლასის ოფლით და მით სულ ერთიანათ გაანიავა და გაპარტახა კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოვო ძალები, გაამეფა შუა და აღმოსავლეთ ევროპის ყველა დანგრეულ ქვეყნებში: რუსეთში, ბალკანეთზე, ოსმალეთში და სხვ. უდიდესი სიღატაკე. შედეგათ ამისა ჩვენ ვღებულობთ მთელ მსოფლიოში მეურნეობის საშინელ ქაოსს.

ასეთ პირობებში ჩავარდნილი სიკვდილის კარზე მიმდგარი კაპიტალიზმი ეხეთქება ყოველ კუთხეს და გამოსავალს ეძებს შექმნილ მდგომარეობიდან.

და აი იმპერიალისტური ომის დასრულებისას აგორებულ მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ტალღების დაცხრომის შემდეგ, როდესაც ბურჟუაზია გამოერკვია შექმნილ ვითარებაში და გონზე მოვიდა, წარმოიდგინა თავის თავი ძლიერათ და გადავიდა ერთიანი მჭიდრო კაპიტალისტური ფრონტით მუშათა კლასის წინააღმდეგ ფართო შეტევაზე, რაიც გამოიხატება უპირველესად ყოვლისა კაპიტალისტების მიერ სამუშაო ქირის უსირცხვილოთ შემცირებასა, სამუშაო დროის გადიდებასა და საერთოდ მუშათა კლასის საარსებო პირობების მეტის მეტად ჩამოქვეითებაში.

მსოფლიო კაპიტალი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეამციროს სამუშაო ქირა, გამოგლიჯოს შეძრულ მუშას უკანასკნელი საარსებო ლუკმა, ის ცდილობს მოსპოს ის გადიდებული ხელფასი, რომელიც მოიპოვეს მუშებმა მაშინათვე დროებითი ზავის ჩამოვდების შემდეგ დიდი თავგანწირული ბრძოლებით.

და რომ ეს ასეა, ამას აშკარათ მოწმობს შემდეგი ცნობები:

საფრანგეთში ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხნების მეპატრონეებმა **შეამცირეს** სამუშაო ქირა **თუთხმეტი პროცენტით.**

შოტლანდიის (ინგლისში) რკინის გზის საზოგადოებებმა შეიტანეს სამუშაო ქირის მოწესრიგებელ და დამწესებელ ცენტრალურ უწყებაში განსახილველათ მოთხოვნილება სამუშაო ქირის **შემცირებისა** და სამუშაო დროის **გადიდების** შესახებ. საზოგადოებები მოითხოვენ იმ მომატების **გაუქმებას**, რომელიც შემოღებული იყო 1920 წ. ივნისში, და რომელიც აღწევდა 4—5 შილინგს (ესე იგი, ჩვენს ფულზე—280—350 ათას მანეთს კვირაში), განსაკუთრებული ქირის **გაუქმებას** ღამე მუშაობისთვის, მოზარდთა (21 წ. დაბლა) სამუშაო ქირის მოზრდილთა სამუშაო ქირასთან გათანასწორების **გაუქმებას**, სხვა და სხვა **ცვლილებების შეტანას** სამუშაო დროში.

ირლანდიის მემანქანეთა, მექანიკთა და კოჩეგარების საოლქო საბჭომ და აგრეთვე რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის ბელადებმა წინადადება მისცეს ყველა რკინისგზელ მუშებს 14 იანვარს შუაღამით გამოეცხადებიათ გაფიცვა პროტესტის ნიშნათ „**სამუშაო ქირის მნიშვნელოვანათ შემცირებისა** და მუშაობის პირობებში ადმინისტრაციის **უხეში ჩარევის**“ წინააღმდეგ.

მემაღაროეები ჩრდილოეთ საფრანგეთში იმუქრებიან გაფიცვით იმ შემთხვევაში, თუ გატარდა მაღაროების მეპატრონეთა მიერ **განზრახული** სამუშაო ქირის შემცირება.

ირლანდიის მუშათა პარტიის ტრედ-უნიონების კონგრესმა გამოუშვა მოწოდება მუშების მიმართ, სადაც ნათქვამია: „სამუშაოს მიმცემნი იმუქრებიან ქარხნების, რკინისგზების და ფერმების დახურვით, თუ მუშები უარს იტყვიან იმ უმწეო სამუშაო ქირაზე, რომელიც წირავს მუშებს პირდაპირ სიკვდილით სიმშილზე. ჩვენ მოვუწოდებთ მუშებს მჭიდროთ შეაკავშირონ თავიანთი რიგები და მზად იყვენ მოქმედებისა, წინააღმდეგობისა და რეპრესიებისათვის“.

ინგლისის ტრანსპორტისა და შავი მუშების კავშირი დაემუქრა ლონდონის ნახშირის მოვაჭრეებს დაუყონებლივი გაფიცვის გამოცხადებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დასტოვებენ ძალაში სამუშაო ქირის დეკემბრის ტარიფებს.

თებერვალში გაუქმებული უნდა ყოფილიყო ინგლისში საადმშენებლო და სასოფლო სამეურნეო მუშების დამატებითი დაჯილდოვება. მწარმოებლები აწარმოებენ კამპანიას, რომელიც მიმართულია სამუშაო ქირის შემცირებისა და სამუშაო დროის გაგრძელებისაკენ.

ამგვარათ, როგორც აქედან ვხედავთ, სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტები არაფერს არ იშურებენ, რომ რამენაირათ აიყვანონ თავიანთი მოგებები, რომლებიც შემცირებულ იქნა მსოფლიო კრიზისის გამო, იმ დონემდე, რომელიც 1917, 1918 და 1919 წ. იყო. და ამის საშუალებას ნახულობენ ისინი სამუშაო ქირის შემცირებაში.

ასევე ეპყრობიან რვა საათის სამუშაო დღესაც, რომლის მოპოვებაც ძალიან ძვირი დაუჯდა მუშათა კლასს.

უკანასკნელ ხანებში მათ ამაზედაც დაიწყეს უხეშათ ხელის შეხება. ასე, მაგალითად, საფრანგეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ტროკერი ცდილობს გააუქმოს ის, როგორც ამხ. პოლლუი გადმოგვცემს, მის ხელქვეით მყოფ ყველა დარგებში გამოუკლებლათ. ამას გარდა ყველაზე უფრო მეტად ბურჟუაზიული გაზეთები გაჰკივიან იმაზე, რომ ვითომცდა ერთად ერთი ხსნა უმუშევრობისაგან, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის, მხოლოდ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებაში მდგომარეობდეს. და ამიტომ დაჟინებით მოითხოვენ ამ რვა საათის სამუშაო დღის გადიდებას.

ამას რომ დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ პროლეტარის სამუშაო ქირა მცირდება რასაკვირველია, შედარებით, იმის გამო, რომ ცხოვრება უფრო მეტჯერ გაძვირდა, ვიდრე სამუშაო ქირამ მოიმატა, მივიღებთ მუშათა კლასის ცხოვრების პირობების მეტის მეტათ ჩამოქვეითებას. სამუშაო ქირის რაოდენობა ომის შემდეგ ისეთი შეიქნა, რომ მუშას აღარ შეუძლია ცხოვრება. გერმანიაში მაგალითად სამუშაო ქირა გაიზარდა ომის წინა წლებთან შედარებით 50 პროცენტით, ცხოვრება კი გაძვირდა 120 პროცენტით. იტალიაში, სამუშაო ქირა გაიზარდა 30 პროცენტით, ცხოვრება კი 173 პროცენტით.

ამ რიგათ სამუშაო ქირის გადიდება სრულებითაც არ შეეფერება ცხოვრების გაძვირებას. ამ უკანასკნელის გაძვირება უფრო მეტი სისწრაფითა და სიჩქარით ხდება, ვიდრე პროლეტარის სამუშაო ქირის. და აი სწორეთ ამ დროს გაუმაძღარი კაპიტალისტები შეეცადენ ამ მცირე სამუშაო ქირის კიდევ უფრო შემცირებას და მუშისაგან რაც შეიძლება მეტი სისხლის გამოწოვას.

აქედან ცხადია, თუ რა საშინელი და მკაცრი უნდა იყოს საერთაშორისო კაპიტალისტების ერთიანი ფრონტით შეტევაზე გადასვლა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის ცდა ასეთ პირობებში წინააღუდგენ გადაგვარებულ კაპიტალის ამ შეტევას და გადავიდენ თავის მხრივ კონტრ-იერიშებზე თავის მონაპოვართა დასაცავად, უშედეგოთ მთავრდება ჯერ-ჯერობით, და ამავე დროს აშკარა მაჩვენებელია იმისი, რომ მუშათა მასების ცალცალკე, გათიშულათ გამოსვლები გაერთიანებული მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ აუცილებლათ განწირულია დამარცხებაზე.

ამით ძალიან სარფიანათ და მოხერხებით სარგებლობენ კაპიტალისტები და კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ შეტევას, კიდევ უფრო აძლიერებენ მუშის უზომო ყვლეფას. სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის მოვლენა, რომ შემოდგომის პირს საერთაშორისო კაპიტალიზმს დაეტყო რამდენიმეთ გამოცოცხლება, რომელიც უფრო გავს სიკვდილის პირზე მიმდგარ ავადმყოფის უკანასკნელ ამოხვნეშას, ვიდრე საერთოდ მრეწველობის აყვავების პერიოდს.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ უკანასკნელ ხანებში დაიწყეს იერიშზე გადასვლა აგრეთვე მუშებისათვის ხანგრძლივი ბრძოლებით მონაპოვარ პოლიტიკურ უფლებებზე მათი წართმევის მიზნით. ასე, მაგალ. როდესაც გერმანიის რკინის გზელმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს თავიანთი საარსებო პირობების გაუმჯობესობისათვის, მათ ეზერტმა, გერმანიის მინისტრმა უპასუხა განცხადებითა და ბრძანებით, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ გაფიცვა სახელმწიფო დანაშაულობაა და ამიტომ გაფიცული მუშები, თუ არ შესწყვეტენ ამ გაფიცვას, დასჯილი იქნებიან, როგორც სახელმწიფო მოღალატენიო.

ეს ახალი იერიში იყო კაპიტალისტების მთავრობის მხრიდან მუშების პოლიტიკურ უფლებებზე, რაიცა ასე, აშკარად გამოიხატა ბურჟუაზიულ გერმანიაში, რომელიც ტიპიური ქვეყანაა კაპიტალის ამ ახალ იერიშებზე გადასვლისა მუშათა კლასზე.

ასეთია მსოფლიო კაპიტალის ვერაგულ თავდასხმაზე ის გადასვლა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომლითაც ხასიათდება დღევანდელი ხანის კლასთა ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

მაგრამ მარტო ამით როდი განისაზღვრება ის აუწერელი გაჭირვება მშრომელი კაცობრიობისა, რომელიც ასე მწარეთ თავს დაატყდა დღეს მას.

**3. უმუშევრობა**

საერთაშორისო მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებას ძალზე ართულებს და ამწვავებს ის გარემოებაც, რომ კაპიტალიზმისა და მის წარმოებაში გაბატონებულ ანარქიისა გამო არა ჩვეულებრივ საშინლათ გაძლიერდა უმუშევრობა და გამრავლდა ულუკმაპუროთ დარჩენილ პროლეტარების რიცხვი.

უმუშევრობა საერთოდ აღებული არ არის მარტო დღევანდელი მოვლენა, ის არ გაჩენილა მხოლოთ დღეს და ამ მხრივ ის არ წარმოადგენს არა ჩვეულებრივ მოვლენას. პირ-იქით ის თანდაყოლილი თვისებაა კაპიტალისტური წარმოებისა და წყობილების. ის გაჩნდა თვით ამ უკანასკნელის გაჩენიდანვე და იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს ეს კაპიტალიზმი, ვინაიდან უამისოთ მას არ შეუძლია არსებობა და სიცოცხლე. ხანდისხან კაპიტალიზმი პირდაპირ დაინტერესებულიც კია მის არსებობაში, ვინაიდან ის ცემს სამუშაო ქირას და ეს კი თითეული კაპიტალისტის მისწრაფებაა.

ამგვარათ უმუშევრობა პირდაპირ კაპიტალიზმზეა დამოკიდებული: თუ კაპიტალისტური წარმოება განიცდი[ს] კრიზისს (წარმოება მცირდება, ხა[...] წარმოებათა დამზადება კლებულობს, ფაბრიკა—ქარხნები ჩერდება და იხურება და სხვ., რის გამო აუარებელი მუშა ხელი ქუჩაში გამოყრილი რჩება), უმუშევრობა იზრდება, უმუშევართა რიცხვი მრავლდება, და, პირიქით, თუ წარმოება ყვავის, უმუშევრობაც კლებულობს. ასეთია კაპიტალიზმის განვითარების ულმობელი კანონი.

დღევანდელი უმუშევრობაც სწორეთ ამავე სახისაა მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ის არაჩვეულებრივათ დიდია, ფართო ხასიათისაა, მაგრამ არაჩვეულებრივია თვით მისი წარმომშობი მიზეზიც, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, რომელიც მეტად გაძლიერდა და გაღრმავდა.

თუ რამდენათ ფართო ხასიათისაა და დიდია დღევანდელი უმუშევრობა, ამას აშკარათ მოწმობს მოკლე ცნობები მისი ზრდის შესახებ:

პირველი ადგილი უმუშევართა რიცხვის სიდიდის მხრივ უკავია **ამერიკას**, რომელიც ინდუსტრიალურათ ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყანაა. უმუშევართა საერთო რიცხვი იქაურ მრეწველობის ყველა დარგებში აღწევდა განსაცვიფრებელ ციფრს—5735 ათასს. ამას რომ მივუმატოთ უმუშევართა ყველა ოჯახების წევრთა რიცხვიც, გამოვა, რომ ამერიკის რესპუბლიკაში მცხოვრებთა 25 მილიონზე მეტი სიმშილით სიკვდილზეა განწირული.

**იტალიაში** 700.000 უმუშევარია, რომლებიც პირდაპირ ქუჩებში არიან გამოყრილნი—ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

**გერმანიაში** ჯერ კიდევ შემოდგომაზე მარტო ერთი ოფიციალური ცნობებით ითვლებოდა 400.000 მეტი უმუშევარი.

**ბელგიაში**—200.000. ეს ციფრი ძალიან დიდია, თუმცა სამრეწველო, მაგრამ მაინც ისეთ პატარა ქვეყნისთვის, როგორიცაა ბელგია.

**შვეიცარიაში**, სადაც რიცხვით მეტად მცირეა პროლეტარიატი, უმუშევართა რაოდენობა უდრის 140.000

**შვეციაში** უმუშევარნი შეადგენენ ყველა დაქირავებულ მუშების 30 პროცენტს. **კანადაში.** (ინგლისის კოლონია ჩრდილოეთ ამერიკაში)—16 პროცენტს და ნიდერლანდებში (ჰოლანდია)—13.

იფიქრა ყვითელ ინტერნაციონალის წარმომადგენელმა გენდერსონმა, ის ამერიკა ჩვენ აღმოვაჩინეთ მათზე ადრე დიადი ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში და საკმაო მაღალი, მართალია, არა ყველა ევროპიელებისათვის გასაგები, რუსული ენით განვაცხადეთ, რომ ამიერიდან ყველას თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ისეთი მთავრობა, როგორიც მას სურს, მაგრამ სიტყვა „ხალხი“ ჩვენ გვესმის ისე როგორც მშრომელნი და ტვირთ მძიმე და თუ ევროპის მესვეურნი მოინდომებენ დასვან ეს საკითხი უფრო რეალურ და საქმიან ნიადაგზე, ჩვენ ერთ წამსაც არ ვყოყმანობთ; ჩაგრულნი აღმოსავლეთის ვეებერთელა კოლონიებისა დიდის აღტაცებით ჩასჭიდებენ ხელს ამ მოწოდებას და მე არ ვიცი როგორ იგრძნობს მაშინ თავს გენუას კონფერენციის შემადგენლობის უმრავლესობა ყოველ შემთხვევაში თუ ისინი ინებებენ ამ საქმის დაბოლოებას, შეიძლება სრული რწმენით ვსთქვათ, რომ შინ დაბრუნებისას, გენუას კონფერენციის შემდეგ მათ მინისტრების სავარძლებზე დახვდებათ სულ სხვები, ვიდრე ისხდნენ იქ მანამდის. ჩვენ კი მუშათა და გლეხთა ქვეყნების წარმომადგენლები ვიტყვით: ჩვენ მივდივართ ამ კონფერენციაზე იმ დიადი საშიშროების შეგნებით, რომელიც ჩვენ გველის, მაგრამ ჩვენ ამ მოგზაურობამდის უნდა უთხრათ მათ, ვისთვისაც გენუა გაცილებით უფრო ძვირფასია ვიდრე ჩვენ, მათ კიდევ ერთხელ აცნობონ თავის მთავრობას, რომ არა თუ მარტო ჩვენი დელეგატები არიან მზათ გენუაში წასასვლელად, არამედ იქ წამსვლელთა ზურგში ჩვენ გვყავს ჩვენი ძვირფასი, უსაზღვროდ საყვარელი მუშათა და გლეხთა წითელი არმია (ტაში).

და თუ—ვიტყვით ჩვენ, თქვენ ვერ გამონახავთ, როგორც იძახიან, საერთო ენას ჩვენ დელეგატებთან, თუ თქვენ უარს იტყვით ყველასათვის მისაწდომ მოხდენილ რუსულ ენის გაგებაზე, ჩვენ არაფერი არ გვექნება მის წინააღმდეგ, რომ ეს ჩვენი მრავალწლოვანი დავა გადავსწყვიტოთ სგვა გზით და ამისთვის ჩვენ მზათა ვართ ყოველ წამს და ყოველ წუთს (ტაში). (და ეს იქნება, ამხანაგებო, საუკეთესო დაბარება ჩვენი დელეგატებისადმი და პასუხი იმ წინადადებაზე, რომელიც უნდათ ჩვენ დაგვისვან.

ვათავებ რა ჩემს მისალმებას, დღეიდან უფრო გამძლავრებულ საბჭოთა საქართველოსადმი, მე უნდა ვსთქვა მხოლოდ ერთი: ამხანაგებო, ვამყარებთ რა მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოებს ჩვენს საქართველოს მიწა-წყალზე, თქვენ გახსოვდეთ, რომ ნამდვილი და სრული დამოუკიდებლობა შეიძლება შევინარჩუნოთ მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ყველანი დიდიდან პატარამდე, ჩრდილოეთიდან მოლდავარე სამხრეთამდე შევერთდებით ერთ განუყოფელ მუშათა და გლეხთა კავშირში და ამ კავშირით გამოვალთ იქაც, სადაც უნდათ ილაპარაკონ ადამიანური ენით, იმავე განუყოფელ კავშირით. თუ ეს საჭირო იქნება, გამოვალთ, იქ სადაც ჩვენ გვიხმობენ ახალ გოლგოთისათვის. და მანამდის ეს კავშირი იქნება საიმედო, მჭიდრო, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ: კიდევ ვნახოთ ვისთვის არის ამ ეგზოტიურ ნაპირებზე აღმართული ყველასათვის შესახედი გოგოლთა.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ძლიერ დავიღალეთ, ჩვენ განაწამები ვართ, დიდხანს ვიბრძოდით, მაგრამ საბჭოთა ქვეყნების მუშების და გლეხებისათვის გამზადებულ გოლგოთაზე ჩვენ წასვლას არ ვაპირებთ.

მივმართავთ დასავლეთის კაპიტალიზმს, ჩვენ ვეტყვით მას, თუ თქვენ იჩქარით დაბოლოვებისაკენ, ჩვენ შეგვიძლია ხელი ვკრათ თქვენ არა მარტო ამ მაღალ და დაწყევლილ მთიებზე, არამედ ჩვენ შეგვიძლია ხელი შეგიწყოთ ძირს დამხობისათვის. და ასე ამხანაგებო, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, გაუმარჯოს იმ ახალ ბრძოლას, რომლის შედეგათ გაიმარჯვებს მსოფლიო ცენტრალური დეპუტატების საბჭოები (ტაში. ინტერნაციონალი).

**კავკასიის ცალკე არმიის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს არმიის სარდალი ამხ. ეგოროვი.** (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ განსაკუთრებულ კავკასიის არმიის სახელით მივესალმო სრულიად საქართველოს პირველ საბჭოთა ყრილობას.

თქვენი სახით, ამხანაგებო, მე ვესალმები საქართველოს მიწა წყლის ბატონ-პატრონთ. სწორეთ ერთი წლის წინათ საქართველოს მშრომელმა მასამ ააფრიალა წითელი დროშა საქართველოს საზღვრებში. ამ დროიდან საქართველოს ირგვლივ იზრდება ათას გვარი ხრიკები, რომელნიც, როგორც ამხანაგმა კიროვმა სთქვა, განსაკუთრებით გაიზარდნენ გენუას კონფერენციის მოწვევის წინ. მე ისევ როგორც ამხ. კიროვი, ვფიქრობ, რომ თქვენი ყრილობა გარკვევით მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში შეურყევლად და სამუდამოთ. ამის თავდებათ, ამხანაგებო, შეიძლება იქნეს საქართველოს მუშების განუყრელი მთლიანობა და კავშირი მთელ საბჭოთა ფედერაციის მუშებთან და გლეხებთან. ამისვე თავდებია, ამხანაგებო, მესამე ინტერნაციონალი და წითელი არმია, რომლების ძლიერებას გრძნობენ უკვე საბჭოთა ხელის-უფლების ყველა მტრები. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელების ინტერნაციონალს, რომელიც ფხიზლათ სდგას ყველა საბჭოთა რესპუბლიკების სადარაჯოზე. (ტაში, ინტერნაციონალი).

**საბჭოთა აზერბეიჯანის მთავრობის სახელით ყრილობას მიმართავს ამხ. შახტახტინსკი.**

ამხანაგებო! აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოების სახელით მე მივესალმები წითელ საქართველოს პირველ საბჭოების ყრილობას. ამხანაგებო, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მთელი ამიერ კავკასია მოდუბული იყო ნაციონალისტურ და შოვინისტურ ავათმყოფობით. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ერთი წლის წინათ ჩაებნენ ბრძოლაში, რომელიც გათავდა ამიერ კავკასიის ხალხთა საერთო ძმური კავშირით და სოლიდარობით. აზერბეიჯანის და საქართველოს მასები გამსჭვალულნი არიან იმ რწმენით, რომ პირველი ყრილობა გაუმკლავდება თავის ამოცანებს და შესრულებს დასახულ გეგმას. დღევანდელ ყრილობის ძირითად საკითხად უნდა ჩაითვალოს საკითხი ამიერ კავკასიის ფედერაციის შესახებ, რასაც გვიკარნახებს ამიერ კავკასიის გლეხების და მუშების არსებითი ინტერესები. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას! (ტაში).

**სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. მიასნიკოვი:**

ამხანაგებო! საბჭოთა სომხეთის მთავრობის სახელით ვესალმები თქვენს ახალ საქართველოს რესპუბლიკის აღმშენებლობას. წარსული წლის განმავლობაში რევოლიუციონურმა საქართველომ შესრულა დიდი საქმე. თქვენ კი ეხლა უნდა გაუკეთოთ ჯამი ამ ნამუშევარს, გაითვალისწინოთ თქვენი შეცდომები და აქედან გააკეთოთ საჭირო დასკვნა მომავლისათვის. თქვენ უნდა ჩაუყაროთ საფუძველი ახალ ცხოვრებასა და აღმშენებლობას.

გასული რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს რევოლიუციონურმა მუშებმა და გლეხებმა შესძლეს დაემტკიცებიათ შემდეგი დებულებანი: პირველ ყოვლისა ეს ის არის ამხანაგებო, რომ მათ ბურჟუაზიულ დიქტატურას დაუპირისპირეს დიქტატურა მუშებისა და გლეხებისა. თუ თავის დროზე საქართველოს მენშევიკები გაიძახოდნენ პარლამენტზე, დემოკრატიზმზე და საზოგადოთ ხალხოსნურ მართველობაზე, ამით მათ სურდათ დაებნოთ წვრილი ბურჟუაზიის და მშრომელთა გონება მისთვის, რომ უფრო მძლავრად შეებოჭათ ისინი. საქართველოს პროლეტარიატმა და გლეხობამ ერთი წლის წინად დასცა ბურჟუაზიის ხელისუფლება და მის დიქტატურას დაუპირისპირა თავისი ბატონობა, ე. ი. დააწესა საქართველოში ხელისუფლება მშრომელი მასსისა. ამხანაგებო! ახალი რევოლიუციონური საქართველოს საკეთილდღეოთ, მენშევიკების ხელისუფლება საბოლოოდ დაეცა. ისინი ხომ მუდამ იმას გაიძახოდნენ, რომ საქართველო ევროპასთან ერთად უნდა მიდიოდესო, რომ საქართველოს ხაზი უჭირავს ევროპისაკენ და კავშირი აქვს შეკრული მის ბურჟუაზიასთანო.

ქართველმა ხალხმა თავის სამშობლოში დაარსა მუშათა და გლეხთა დიქტატურა და თანამედროვე საქართველოს ამ ჟამად უჭირავს პირდაპირი გეზი ამიერ კავკასიის, რუსეთის და მთელი მსოფლიოს მშრომლებისაკენ და აგრეთვე ყველა ქვეყნისა, ყველა ხალხის მუშათა და გლეხთა შორის კავშირისაკენ. დღეს ამხანაგებო, რევოლიუციონური საქართველო ქმნის ამ კავშირს; ის ხალხი, რომლის სახელითაც მე დღეს აქ ვლაპარაკობ თქვენს პირველ ყრილობაზე, თითქმის ერთსა და იმავე დროს თქვენთან ერთად გამოვიდა თავის ბურჟუაზიის და საერთაშორისო მყვლეფელ მძარცველთა წინააღმდეგ; თუ ერთი წლის წინათ ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა იმავე პოლიტიკას, რომლის გამომხატველიც იყო ძველი საქართველო, თუ სომხეთის ლიტერატორები, და ინტელიგენცია საქართველოს შოვინისტნაციონალისტებთან ერთად გამსჭვალულნი იყვნენ ერთსა და იმავე მისწრაფებით,—დღეს საბჭოთა საქართველო და სომხეთი თავის წინამძღოლ პარტიათა ხელმძღვანელობით მჭიდროდ და ძმურათ არიან შეკავშირებულნი. სომხებს და ქართველებს აერთიანებს ძმური კავშირი, რადგან მათ საერთო იდეები ასულდგმულებენ. თქვენ კარგათ იცით, ამხანაგებო, რომ უკანასკნელ ხანებში მენშევიკების ხელმძღვანელნი კაუცკი და სხვანი, სცდილობდნენ, საქართველოში მუშათა სისხლის დაღვრით, საქართველოს აჩნაირის მაგალითით დაემტკიცებინათ, რომ მთელი კაცობრიობა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგია და მხოლოდ მენშევიკებს შეუძლიათ ქვეყანაზე სამართლიანი დემოკრატიული თანასწორობის დამყარება.

მათ ვერ შესძლეს ამის დამტკიცება, მხოლოდ აშკარად დაგვანახეს, თავიანთი დამოკიდებულება ბურჟუაზიასთან. მენშევიკები ამ ჟამად დამხობილნი არიან.—ჩვენ კი განვახორციელეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რითაც დავამტკიცეთ ჩვენი იდეების გამარჯვება და აგრეთვე ის, რომ შემდეგშიაც შევსძლებთ ამ იდეების კავკასიის ცხოვრებაში გატარებას. ჩვენ გვასულდგმულებს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შეკავშირების იდეა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან დავამყაროთ მუდმივი მშვიდობიანი ცხოვრება მომავალი თაობისათვის.

თქვენს დღევანდელ ყრილობას, რომელმაც დღეს დილით დაათვალიერა ჩვენი რევოლიუციონური ძალები, თამამად შეუძლიან მძლავრად შეაკავშიროს საქართველოს და მთელ კავკასიის რევოლიუციონური მასა და უთხრას მომავალ თაობას:

„ჩვენ გავაკეთეთ დიადი საქმე—ჩვენი ხალხის, ჩვენი მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის, რომ, ამით შევაერთოთ ამიერ კავკასიის მშრომელი ხალხი და სომხეთთან და აძერბეიჯანთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ წინ მომავალი აღმშენებლობისათვის. ჩვენ გავაკეთეთ დიდი საქმე, მაგრამ უფრო დიდი საქმის გაკეთება მოგველის შემდეგში.

საბჭოთა პირველი რევოლიუციონური ყრილობა არის სრულიად საქართველოს ხალხთა შორის კავშირის და მათი მომავალი ისტორიის შემქნელი; გაუმარჯოს თქვენს ყრილობას! გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს. (ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

**საქართველოს წითელი ლაშქრის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. შალვა ელიავა.**

ამხანაგებო, მხურვალე სალამი იმ პატარა რაზმისაგან, რომელიც დაიბადა საბჭოთა რესპუბლიკის წიაღში.

ამხანაგებო, ამ დღეს, როდესაც აქ თავმოყრილნი არიან საქართველოს საბჭოთა წარმომადგენელნი და როდესაც ევროპის იმპერიალისტები ჩვენგან მოითხოვენ თვითგამორკვევას, დამოუკიდებლობას, მოითხოვენ ამასთანავე გენდერსონი და სხვ. სოციალისტების სახელით, აქედან წითელი ლაშქრის გაყვანას, აი სწორედ დღეს სწყდება ბედიღბალი მუშებისა და გლეხებისა და რომ ეს ბედიღბალი გადაწყდეს ჩვენდა სასარგებლოდ, რომ არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წარმომადგენელს არა ჰქონდეს საშუალება სთქვას, თუ რა არის ის ერი, რა დამოუკიდებელია ის ქვეყანა, თუ გინდ მუშების და გლეხების, რომელსაც თავისი შეიარაღებული ძალა არა ჰყავს, რომ, ვიმეორებ, ეს არავინ სთქვას და არც ჰქონდეს ამის უფლება არც ერთ სოციალისტს ან ბურჟუას და ყველამ გაუწიოს ანგარიში პატარა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აუცილებლად მას სჭირია პატარა, მაგრამ მაგარი შეუდრეკელი ლაშქარი, ამისათვის დღეს ჩვენმა ყრილობამ უნდა ჩაუყაროს ქართულ მუშურსა და გლეხურ შეიარაღებულს ძალას ისეთი საფუძველი, რომელზედაც აშენდება ეს შეუდრეკელი ლაშქარი. ამხანაგებო, დღეს ოფიციალურად საბჭოთა დეპუტატების ყრილობამ უნდა დაადგინოს, რომ მთავრობამ, რომელიც არჩეული იქნება ამ ყრილობის მიერ, აღმასრულებელმა კომიტეტმა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს შეიარაღებულ ძალას. თქვენ კი ადგილობრივ მოვალენი იქნებით იხმაროთ ყოველგვარი ძალღონე, რომ ამ ლაშქარში თავი მოიყარონ საიმედო ახალგაზრდა ელემენტებმა, მუშებმა და გლეხებმა; მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პატარა, მაგრამ მჭიდრო შეკავშირებული ლაშქარი შევა როგორც ერთი ნაწილი საერთაშორისო წითელ ლაშქარში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა საქართველო ეყრდნობა ამ ხალხის ნამდვილ ნების ყოფას, მას ჰყავს თავის წიაღიდან წარმოშობილი შეიარაღებული ძალა, რომელიც სხვებთან ერთად განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას სხვა ქვეყნებშიც კი. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს დელეგატების პირველ ყრილობას, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს პატარა ლაშქარს, გაუმარჯოს ჩვენს შრომას ამ ლაშქრის შექმნისათვის (ტაში).

**მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. მიხ. კაკულია:** საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ფრაქციის და მთავარ კომიტეტის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოთა პირველ წითელ ყრილობას.

ამხანაგებო, დღევანდელი ყრილობა, ეს ისტორიული მოვლენაა, ეს ისტორიული ყრილობაა ქართველი ერის, საქართველოს მშრომელი ხალხისა. მე მგონია, რომ ეს ყრილობა, როგორც გამომხატველი საბჭოთა სისტემის, მშრომელი ხალხის ძალა-უფლების და მშრომელთა ნებისყოფის, ისტორიული მოვლენა არის მთელი მშრომელი კაცობრიობისთვის. საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია ამ სისტემას, ამ ახალ მოვლენას: მშრომელთა ბატონობას საქართველოში, მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ძალღონით მხარს უჭერს. რატომ?—იმიტომ, რომ მშრომელთა ბატონობაში—მხოლოდ საბჭოთა სისტემაში, ჩვენი პარტია ხედავს იმ იდეალთა და განზრახვათა განხორციელებას, რომელიც მას ეწერა და დღესაც უწერია თავის სამოქმედო პროგრამაში. ეს გახლავსთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გამტკიცება. ამხანაგებო, სიტყვა, სხვაა, საქმე სხვაა. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ დაინტერესებული ერის დამოუკიდებლობის გამტკიცებაში, ეს სიტყვა, ეს ზრახვა არ კმარა. საჭიროა მოქმედება, მოქმედება თავდადებული, რევოლიუციონური, სოციალისტური საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია სწორედ ამ დამოუკიდებლობის გამტკიცებაში ხედავს თავის დანიშნულებას. ეს დამოუკიდებლობა საქართველოს მემ. სოც.-ფედ. პარტიას ესმის, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი. რომელსაც უნდა მაგრად ხელის ჩაჭიდება, რომელსაც უნდა სათუთად შენახვა და თუ მოინდომეს ამ მონაპოვრის წართმევა, თუ დაუდგა ამ მშრომელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას განსაცდელი და საფრთხე—მაშინ საჭიროა მას თავიც შევწიროთ. ამხანაგებო, საფრთხე როგორც გამოირკვა ერთი აქ მოლაპარაკე ორატორის სიტყვიდან, მოსალოდნელია. თავის-თავად ცხადია, ყოველ მნიშვნელოვან საქმეს, მით უმეტეს მშრომელთა ბატონობის განმტკიცებას, ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობის განმტკიცებას ყოველთვის მოელის საფრთხე, მას ჰყავს აუარებელი მტრები, როგორც შიგნით ისე გარეთ, მაგრამ ასეთი მტრები საქართველოს მემ. სოც.-ფედ. პარტიას ძალ-ღონით და რიცხვით სუსტს—არ აშინებს. იქ, სადაც შეიქნება საჭირო ბრძოლის გაჩაღება, სადაც ამ ბრძოლის დანთებაში გამოჩნდება სოციალისტურ რევოლიუციის მებაირახტრე საქართველოს წითელი ლაშქარი—თავისი ლამაზი მწკრივებით, მემ. სოც. ფედ. პარტია იქ მიიღებს მონაწილეობას და შეიტანს თავის წვლილს. ამხანაგებო, დღეს ჩვენი ყრილობა გაითვალისწინებს რა ყოველ იმას, რაც აქ იყო თქმული, მიაქცევს სათანადო ყურადღებას, გამოიმუშავებს მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად ხაზს, და ამ ხაზის გამომუშავებაში, ჩვენი ფრაქცია მიიღებს მონაწილეობას, ჩვენი პარტია იმუშავებს იქ ყოველ ფრონტზე შინაურზე თუ გარეშეზე როგორც, ბრძოლის ფრონტზე, ისე აღმშენებლობის ფრონტზე, ერთი სიტყვით ყველგან სადაც საჭირო იქნება მთელის გულით, მთელის ზრახვებით. ამავე დროს პარტია ითვალისწინებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც ის ჩავარდნილია ერთის —მხრით ყოფილი ამხანაგებისაგან— მემარჯვენე ფედერალისტებისაგან, ხოლო მეორეს მხრით—მენშევიკების მიერ შექმნილ მდგომარეობით. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება პარტია, მას უხდება ბრძოლა მძიმე პირობებში, მაგრამ მას არ ეშინიან. ყოველგან არსებობს პროვოკაცია მიმართული მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, პროვოკაცია იმავე დროს მიმართულია მემ. სოც.-ფედ. პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ პარტია ამას არ უფრთხის. სადაც საჭიროა ის საქმითა და ბროლით დაამტკიცებს თავის უნარს და არას იტყვის. ყოფილი მემარჯვენე ამხანაგებისა და მენშევიკებისაგან სიტყვების გარდა ნამდვილი საქმე არ გვინახავს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო—მე ვამბობ, რომ ისინი აქ, ჩვენთან იქნებოდნენ. მოვიდოდნენ ჩვენთან ერთად ერის წარმომადგენლად ხალხის, ერის ინტერესების გამომხატველად, მის ნებისყოფის, მის სურვილების გამომსახველად. წინააღმდეგ ამისა ისინი გაექცნენ ხალხს, მოედვენ ლობე-ყორეს ევროპაში, ებრძვიან ხალხს ზოგი სტამბოლიდან, ზოგი პარიზიდან და ამას ეძახიან ხალხის სამსახურს. ასეთი ხალხის სამსახურს ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ. (ტაში).

ამხანაგებო, დღევანდელმა ჩვენმა ყრილობამ რომელიც არის უზენაესი ბატონ-პატრონი საქართველოსი, მშრომელი ხალხისა, გამომხატველი საქართველოს მშრომელ ხალხის ინტერესებისა, უნდა გასცეს პასუხი ცხოვრების მიერ მრავალ მხრივ შემუშავებულ რთულ კითხვებზე. მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა რევოლიუციონური პარტია სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ჩვენ სწორეთ სავსებითა და, დაკვირვებით ამოსწურავთ ცხოვრების და მშრომელი ხალხის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვებს და მით გასცემთ სათანადო პასუხს, და ამის განსახორციელებლად აირჩევთ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის სათანადო შემადგენლობა გაუძლევება ჩვენს ცხოვრებას. გისურვებთ, აგერჩიოთ ისეთი კომიტეტი, რომელიც პირნათლად გაუძლვება ხალხის და რევოლიუციის ინტერესებს და ამ საქმეს დაავგვირგვინებს ბოლომდე. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. გაუმარჯოს თქვენ საქმეს, გაუმარჯოს მშრომელთა ბატონობას, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას თავისუფალ ერთა კავშირში, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

**აფხაზეთის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მისალმების სიტყვა ეძლევა ამხ. ლაკობას.**

ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დეპუტატებო, მოგესალმებით პატარა აფხაზეთის საბჭოთა სახელით (ტაში).

იმათ, ვინც ზევიდან იცქირება, აფხაზეთი ეჩვენება პატარათ, მას უმიკროსკოპოთ ვერც კი შენიშნავენ, მაგრამ მენშევიკები უბრალო თვალითაც კარგად ამჩნევდენ მას, ამ პაწაწკინა აფხაზეთს, იმიტომ რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო, ჟორდანიასეული საქართველო, ამყარებდა თავის დამოუკიდებლობას მხოლოდ პროლეტარულ რუსეთისაგან დაცვაზე.

იქ არის გაგრის ხეობა, სადაც მაზნიაშვილი ფიქრობდა დაეძლია რუსეთის წითელი ჯარი.

აფხაზეთს აქვს მშვენიერი ბუნება, —მენშევიკებს ეტყობა კარგათა ჰქონდათ განვითარებული ესტეტიური გრძნობა.

ამ ორმა მოვლენამ აიძულა მენშევიკები მისულიყვენ გათახსირებამდე. ისინი მასხარად იგდებდენ სიტყვა დემოკრატიას, რომლის სახელითაც სურდათ განეხორციელებიათ სოციალიზმი. ამას ამბობდნენ გაიძვერა მენშევიკები ჩხიკვიშვილი და სხვა, აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატები და ფედერალისტები: აი როგორ დაიწყო აფხაზეთის თვითგამორკვევა. აი ასეთი ეთნოგრაფიულად სხვა და სხვა ხალხს, როგორც მაგალითად აფხაზეთს, აქვთ მინიჭებული თვითგამორკვევა საქართველოს რესპუბლიკის ოაზისში.

მაგრამ ეს იყო სრული სიცრუე, რაშიც მალე დარწმუნდა მშრომელი მასსა, როგორც აფხაზეთის, და აგრეთვე საქართველოს მშრომელი მასსაც, რომელმაც ერთ დროს შეუტია აფხაზეთს, მხოლოდ ამიტომ, რომ მან გაბედა ბაქოს შემდეგ აღემართა საბჭოთა ბაირაღი, და მედგრად დაეცვა იგი 42 დღის განმავლობაში.

ამხანაგებო, ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ და საბჭოთა რესპუბლიკამ ნება დართო პატარა აფხაზეთს ერთგვარ თავისებური ფუფუნებისა.

როდესაც ჩვენ ბათომში უთხარით ჩვენ ძველ ამხანაგებს, რომ ჩვენში, ამ პატარა აფხაზეთში, ამ პატარა ერში საბჭოთა ხელისუფლების იდეის შერჩენისთვის საჭიროა, რომ ერთი

---

მეტად ღირსშესანიშნავი და დამახასიათებელია უმუშევრობის განვითარების პროცესი **ინგლისში**.

ამ ქვეყანაში უმუშევართა რიცხვის პროცენტულათ დამოკიდებულება საერთოდ დაქირავებულ მუშების რაოდენობასთან, რომლებიც პროფესიონალურ კავშირების წევრები არიან გამოიხატება შემდეგნაირათ:

1921 წ. იანვარში—6,9 პროც.
„ თებერვალში—8,5 „
„ მარტში—10,0 „
„ აპრილში—17,6 „
„ მაისში—22,2 „
„ ივნისში—23,1 „
„ ივლისში—16,7 „
„ აგვისტოში—13,3 „
„ სექტემბერში—14,8 „
„ ოქტომბერში—15.6 „

ეს მოყვანილი ცხრილი საჭიროებს განმარტებას, ვინაიდან თუ მას ზერელეთ შევხედავთ და არ—ჩავუკვირდებით ინგლისის ცხოვრებასა და იქაურ მოვლენებს განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის დარგში, შევგვიძლიან გამოვიყვანოთ ისეთი დასკვნა, რომ ინგლისში ბოლო ხანებში დაწყებულა უმუშევრობის შემცირების პროცესი და მით ბოლო მოღებია ვითომ ეკონომიურ კრიზისს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ინგლისში 1921 წ. ადგილი ქონდა მემაღაროეთა უდიდეს გაფიცვას, რომელიც გაგრძელდა ოთხ თვეს (აპრილიდან ივლისამდე) და რამაც შეაჩერა, რასაკვირველია მძიმე ინდუსტრია. ამის გამო უმუშევრობის „ბუნებრივ“ ზრდას თან დაერთო აგრეთვე მისი „ხელოვნური“ ზრდაც, ვინაიდან ნახშირის მაღაროებში გაფიცვით გამოწვეულ სათბობი მასალის ნაკლულევანების გამო დადგა ბევრი ფაბრიკა-ქარხნები და მუშებიც იძულებული გახდენ „განთავისუფლებულიყვნენ“ მუშაობისაგან. სწორეთ ამიტომაცაა რომ უმუშევრობის ზრდის პროცესი შედარებით ძალიან დიდ ნახტომს აკეთებს მარტიდან აპრილის ბოლოში (10 და 17,6 პროც.) და შემდეგ მიდის უფრო ჩქარი ტემპით ივლისამდე, ე. ი. იმ თვემდე, რომელსაც უკვე შესწყდა გაფიცვა.

ამას გარდა მისაღებია სახეში ისიც, რომ შემოდგომაზე ყოველთვის ეტყობა წარმოებას ვითომდა გამოცოცხლება და უმუშევრობაც კლებულობს (უმუშევრობის პროცესის დაბლა დაწევა, როგორც ჩვენი ცხრილიდან სჩანს, სწორეთ შემოდგომის დასაწყის ეხება), მაგრამ მეტად მოკლე ხნით. ამ შემთხვევაში უმუშევრობა ინგლისში ოქტომბრის დასასრულს უკვე 1,2 პროცენტით გაიზარდა სექტემბერთან შედარებით, ხოლო ნოემბერში კიდევ უფრო: ოქტომბერში ირიცხებოდა 1,611,000 უმუშევარი, ნოემბერში კი უკვე 1,830,000-მდე ავიდა.

ასეთ სურათს იძლევა ინგლისი უმუშევრობის შესახებ.

რაც შეეხება საფრანგეთს, ცნობების უქონლობის გამო ჩვენ მოვიყვანთ ჩვენი ფრანგი ამხანაგის, პოლლუის აზრს ამის შესახებ. ის სწერს „ჰუმანიტეში“ (21 დეკემბერი) შემდეგს:

„ჩვენში სრულებით არ აწარმოებენ უმუშევართა სტატისტიკას. მთავრობა ამით სრულებით არ ინტერესდება. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საფრანგეთში არის მოდებული უმუშევრობა, რომელიც სასტიკათ სტანჯავს პროლეტარიატს“. ასე რომ არც საფრანგეთშიაც იქნება ძალიან მცირე უმუშევართა რიცხვი.

აქვე საინტერესო და ღირსშესანიშნავია მოვიყვანოთ ერთი გერმანულ ეკონომიური ჟურნალის იტალიელი კორესპონდენტის აზრი უმუშევრობის შესახებ იტალიაში (მოგვყავს მოსკოვის „პრავდიდან“). ნოემბერში გასულ წელს ის წერდა: „უმუშევართა რიცხვი განისაზღვრება ამ ჟამათ 700,000 კაცით (რომ არ ჩავთვალოთ ნახევრათ უმუშევრები), და ყველა წინასწარმეტყველობანი შეიცავენ იმას, რომ ზამთრამდის ეს რიცხვი მიაღწევს მილიონს“. აი რა სურათს წარმოადგენენ დღეს მთელი მსოფლიოს ცოტათ თუ ბევრათ წინ წაწეული ინდუსტრიალური ქვეყნები ამ უმუშევრობის განვითარებას, რომელიც აღმოცენებულია კაპიტალიზმის დღევანდელ უსაშინელეს და ღრმა კრიზისზე.

როგორც აქედან სჩანს საერთაშორისო მუშათა კლასის მდგომარეობა ვერ არის მაინცა და მაინც ძალიან სახარბიელო. პირიქით, ის უპირველესათ ყოვლისა ეკონომიური, მეტის-მეტად მძიმე და საშინელია. ასეთი მდგომარეობა მას უმზადებს გადაგვარებარებასა და გადაშენებას, სიმშილსა და სიკვდილს, და თვითონაც უკვე გრძნობს ის ამას. დღეს მისთვის ყველაფერი აშკარა ხდება.

ქ. კომუნაძე.

(დასასრული იქნება)

---

# საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

## საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი მოთავსებულია დროებით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში და ღებულობს ყოველგვარ დახმარებას და შემოწირულებას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

## სამდღეულები საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

სამდღეულები საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ მოეწყობა 11, 12 და 13 მარტს.

## მეწყერი რაჭასა და ლეჩხუმში.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს ატყობინებენ, რომ რაჭაში მეწყერმა დააქცია სოფელი ღვიარა, ჯერ-ჯერობით განადგურებულია ორმოცი კომლი. ცაგერში მეწყერმა განადგურა სახნავ-სათესი მიწები და სავენახეები. რამოდენიმე ათეული მოსახლე, სრულიად უსახლ-კაროდ დარჩა, რამაც დამშეული ხალხის მდგომარეობა უფრო გაამწვავა.

## სამხრეთ ოსეთში.

სამხრეთ ოსეთიდან იტყობინებიან, რომ სიმშილი დღითი-დღე იზრდება; მცხოვრებლები ჰყიდიან რაც გააჩნიათ. თუ სასწრაფოდ არ იქნა აღმოჩენილი დახმარება სურსათ სანოვაგით და ტანისამოსით, მცხოვრებლებს ამოწყვეტა მოელით.

## სხვა ადგილებიდანაც ასეთივე ცნობები მოდის.

ასეთსავე ცნობებს იტყობინებიან ქუთაისის მაზრის მანდიკორის თემიდან, ლეჩხუმის მაზრიდან, რაჭიდან, ზემო-გურიიდან და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხეებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთით მაინც გამოგვეცხადოთ დამოუკიდებელ რესპუბლიკათო,—მათ გვითხრეს: გამოაცხადეთ თქვენი თავი რათაც გინდათ, თუნდა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, ოღონდ კი განმტკიცდეს იქ საბჭოთა ხელისუფლების იდეა, რომ მით აღმოიფხვრას ის ეროვნული შუღლი, რომელიც ხელოვნურად არის მოწყობილი მენშევიკებისაგან ორ მოძმეთა საქართველოს და აფხაზეთის ხალხთა შორისო.

ეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა უკვე არსებობს 11 თვე და აფხაზეთის მშრომელთა მასა ამბობს, რომ აქ საქართველოში არის უმთავრესი შტაბი მისი უფროს ძმების—ქართველ ხალხისა.

ამხანაგებო, ამ რიგათ და ასეთი გამოცდილებით აფხაზეთის მშრომელთა მასსამ მიაღწია დღევანდელ ძმურ, სოლიდარულ და გულწრფელ სიყვარულს ქართველ ერისადმი. ასევე ფიქრობს კავბიურო და შემდეგშიაც საბჭოთა პირველი ყრილობა—მოვალეა ხელს უწყობდეს ამ პოლიტიკას; თვით აფხაზეთის მშრომელებმაც გამოსთქვეს რწმენა, რომ საქართველოს მშრომელნიც გაიგებენ, რომ მცირე ერთა და საზოგადოდ საქართველოს ხალხთა შორის არ შეიძლება იყოს რაიმე გაუგებრობა. და თუ ვინმე დაიწყებს წრიპინს და იტყვის „რა ბრის ეს პატარა რესპუბლიკაო", მას უნდა ეთქვას, რომ თუ ცალკე პატარა ნაწილები არ არის, მთელი არ შეიქნება. ამხანაგებო, ერთხელ კიდევ მოგესალმებით საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას. (ტაში. ინტერნაციონალი).

**სამხრეთ ოსეთის მუშათა და გლეხთა საბჭოს დეპუტატების სახელით სიტყვა ეძლევა ამხ. გაგლოევს.**

ამხანაგებო, სამხრეთ ოსეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მოგესალმებით თქვენ საქართველოს სრულუფლებიან პატრონს, მის საბჭოთა პირველ ყრილობას.

ამხანაგებო, ჩვენს გულწრფელს სალამში არ შეიძლება ვინმემ შეიტანოს ეჭვი, ვინაიდან მშრომელნი სამხრეთ ოსეთისა, ისე როგორც სხვა პატარა ერები, მენშევიკების დროს გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისაგან. მენშევიკებმა გაყიდეს მუშათა კლასი. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლების საფარველ ქვეშ სამხრეთ ოსეთმა მიიღო არამც თუ ფიზიკური არსებობის უფლება, არამედ სრულ მოქალაქობრივობისაც და დღეიდან ამ ყრილობაზე საქართველოს მშრომელნი სამხრეთ ოსეთის მშრომელებთან ერთად მოწოდებულნი არიან უდიდესი საქმის, საბჭოთა აღმშენებლობის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის პატარა წითელ ჯარს. (ტაში და ინტერნაციონალი).

**სიტყვა ეძლევა ბათომის პროლეტარიატის და აჭარისტანის წარმომადგენელს ამხ. თენგიზ ულენტს.**

ამხანაგებო, მეც მომეცით ნება ბათუმის პროლეტარიატის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკის სახელით, მივესალმო საქართველოს მშრომელ ხალხის წარმომადგენლებს. მეც მომეცით ნება გამოვსთქვა ის უღრესი სიხარული, რომელსაც დღეს განიცდიან მთელი საქართველოს მუშები მეც მიბოძეთ ნება ამ ტრიბუნიდან ვსთქვა სიტყვა პროლეტარული და მუშური. ის კუთხე, რომლის წარმომადგენლადაც მე იქ ვითვლები—არის მშვენიერი კუთხე რამოდენიმე წლის წინათ განიცდიდა ჩაგვრას, რომლის მსგავსიც ისტორიას არ უნახავს. ეს კუთხე ჯერ კიდევ მეფის თვითმპყრობელობის დროს განიცდიდა დიდ გასაჭირს და გმინავდა ბეგების და მეფის მოხელეების ფეხთა ქვეშ, იმ დროს, როცა აჭარის მშრომელი ხალხი მოელოდა თავისუფლებას და უნდოდა მისთვის ბრძოლა, ამ დროს მეფის მოხელეები აჭარის ხალხს აგზავნიდნენ გურიაში და სამეგრელოში რევოლიუციის ჩასაქრობად. ამ დროს ხულოში და ქედაში აშენებდენ მართმადიდებელ ეკლესიებს, რომ ძალით გაექრისტიანებიათ და გაერუსებიათ აჭარლები. ამავე ტაქტიკას ეწეოდა მენშევიკური მთავრობაც, რომელიც, ერთი წლის წინათ, ჩვენდა საბედნიეროდ, შავი ზღვით გავისტუმრეთ უცხოეთში. დღეს აჭარის მდგომარეობა სავსებით შეიცვალა; იმ თავისუფლებამ, რომელიც მოაქვს კომუნისტურ პარტიას—შეაშუქა აჭარისტანის მშვენიერ ქვეყანაში და იქაც აღიმართა წითელი დროშა და აჭარის ხალხმა, თავის მშვენიერ ქვეყანაში მშვიდობიანად მოაწყო თავისი საქმე. მაშ სალამი და გამარჯვება აჭარის ხალხს, სალამი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, სალამი ამხანაგებს.

**თბილისის წითელ საბჭოს სახელით ლაპარაკობს ამხ. დუმბაძე.**

ამხანაგებო! თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს სახელით, მხურვალედ ვესალმები საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა პირველ ყრილობას (ტაში), ამხანაგებო, ოთხი წლის ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად სწორედ ერთი წლის წინეთ, 25 თებერვალს დამთავრდა მუშათა კლასის, გლეხების და საერთოდ მთელ საქართველოს მშრომელი ხალხის სრული გამარჯვებით და მეორეს მხრივ მისი მტრების სრული დამარცხებით.

საქართველოს მშრომელი ხალხის საშუალებით მენშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი შავი ზღვით გავისტუმრეთ. ამხანაგებო, მენშევიკებმა, საქართველოს მშრომელ ხალხის მტრებმა—საქართველო ჩვენ მეტად ცუდ პირობებში დაგვიტოვეს, მაგრამ მშრომელმა ხალხმა, საქართველოს მუშათა კლასმა შესძლო ამ ერთი წლის განმავლობაში დაცემული მეურნეობის, დანგრეული რკინის გზებისა და ხიდების აღდგენა. ამ ერთი წლის განმავლობაში მშრომელმა ხალხმა მთელს საქართველოში შექმნა საბჭოები და დღეს ჩვენ ორმაგ ზეიმს ვდღესასწაულობთ: პირველი დღესასწაული არის წლისთავი, როდესაც საქართველოში თბილისში პირველად აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. მეორე დღესასწაული აღინიშნება იმით, რომ დღეს ჩვენ გავხსენით პირველ ყრილობას ამ საბჭოებისას. და აი, სწორედ, ამხანაგებო, თბილისის საბჭო ამ ორ დიად დღესასწაულს ესალმება და ამ ყრილობას უსურვებს გამარჯვებას. მაშ გაუმარჯოს პირველ ყრილობას, გაუმარჯოს ყრილობათა ყრილობას მთელს მსოფლიოში (ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

**ბაქოს მუშათა წითელი დივიზიისა და მატროსების დეპუტატების სახელით მისალმების სიტყვას ამბობს ამხ. ეგოროვი.**

ამხანაგებო, მხურვალე სალამი თქვენ იმათაგან, ვინც საქართველოს მუშებთანა და გლეხებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობდენ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში, რომელნიც მოსწყდნენ ერთმანეთს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მტრული ძალების ვერაგობით. მშრომელ მასის და წითელ რევოლიუციონური ბაქოს სახელით მოგესალმებით თქვენ. 1917 წელს ოქტომბრის დღეებში, როდესაც ჩვენ, მუშებმა და გლეხებმა ხელთ ვიგდეთ ხელისუფლება, სამი დღის განმავლობაში დამხობას გვიწინასწარმეტყველებდნენ ჩვენი მტრები—ბურჟუაზია და მემამულეები. განვლო სამმა დღემ, სამმა თვემ, ოთხ ნახევარ წელიწადზე მეტი სრულდება და ჩვენ, არამც თუ შევინარჩუნეთ ჩვენი ხელისუფლება, არამედ ეს ხელისუფლება დავაკანონეთ იმათთვისაც, ვინც ჩვენ დაღუპვას გვიპირებდა, როდესაც ჩვენ მოვიპოვეთ ხელისუფლება, მაშინ ჩვენი არმია სისხლსა ღვრიდა იმპერიალისტურ ინტერესების დასაცავად. ამიტომ ჩვენ ეს არმია დავშალეთ, რის შემდეგაც საბჭ. ხელისუფლება დარჩა უჯაროდ. სწორედ მაშინ, ჩვენმა მტრებმა იდროვეს და თავზე მოგვახვიეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. მაგრამ ამხანაგებო, დროთა ვითარებაში ჩვენი მუშათა და გლეხთა ძალა-უფლება მტკიცდებოდა. დასავლეთ ევროპის მუშათა რიგები თავს იყრიდნენ საბჭოთა ლოზუნგების გარშემო, თანდათან, მიუხედავად ბევრ დაბრკოლებისა. ჩვენ შევქმენით ისეთი ლაშქარი, რომლის ბადალი არა ჰყავს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს. ჩვენი მტრების მტრობისა, დაცინვისა და სისინის მიუხედავად, ჩვენ შევქმენით ძველ ნანგრევებზე ახალი დაუმარცხებელი წითელი ჯარი, რომელიც ძალს უფრთხობს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს. დღეს, როდესაც ჩვენ დავამარცხეთ მტერი სამოქალაქო ომის ფრონტზე, ჩვენ გადავდივართ მეორე ფრონტზე—სამეურნეოზე და ამ დროს გვესმის ისეთი გველური სისინი, როგორიც გვესმოდა მაშინ, როდესაც ჩვენ არ გვყავდა ძლიერი ჯარი. ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში კისერს მოვიტეხთ: ისინი გვიწინასწარმეტყველებენ აუცილებელ დაღუპვას, მაგრამ ჩვენ ვიცით წითელ ჯარის ბრძოლის მაგალითებიდან, რომ ახე ადვილად ჩვენ არ დავმარცხდებით. ამიტომ ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ადვილად გადავიტანთ იმ სიღარიბეს და ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მოგვცა ჯერ იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა. ბაქოს მუშების, დონის მაღაროების, და მოსკოვის წითელ პროლეტარიატის მაგალითები ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ მივდივართ ჩვენ წინ ამ საშიშ და მძიმე ფრონტზე. ჩვენ ვიცით, რომ ქვანახშირის ამოღება ძლიერდება, თუჯის დამუშავება ყოველ დღე მატულობს, —ბაქოს შავი სისხლის ამოღება ყოველ თვე წინ მიდის. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ამოცანა, რომელიც ჩვენ წინ არის აღმართული სავსებით და ჯეროვანად იქნება შესრულებული. ვესალმები რა სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას, გისურვებთ მასთან ერთად თქვენ ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს დღესვე დაგვეწყოთ ბრძოლა ჩვენს უკანასკნელ ფრონტის გასამაგრებლად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის დახმარებით ამ უკანასკნელ ბრძოლაშიც გავიმარჯვებთ.

ეს ბრძოლა მით უფრო მალე დაგვირგვინდება გამარჯვებით, რაც უფრო მჭიდრო კავშირი გვექნება ჩვენს საერთო მიზნების მისაღწევად და რაც უფრო შესაფერისად იქნება გამოყენებული ჩვენი მატერიალური და ტეხნიკური რესურსები. მე ვლაპარაკობ იმ ფედერაციაზე, რომელიც ეხლა დღის წესრიგში სდგას ეს საკითხი დიდი ხანია დადებითად არის გადაწყვეტილი ადერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ასევე დადებითად გადაწყვეტილია საქართველოს მშრომელთათვის. ფედერაცია მოგვცემს საშუალებას უფრო ნაყოფიერათ ვაწარმოოთ შეტევა ამ უკანასკნელ სამეურნეო—ფრონტზე და ამ რიგად რომელშიაც ჩვენ მოვემწყვდიეთ წარსული პერიოდების მეოხებით.

აი ის, რაც მე მინდოდა მეთქვა თქვენთვის ჩემს ძმურ სალამში. გაუმარჯოს სრულიად საქართველოს პირველ საბჭოთა ყრილობას, რომელმაც უნდა გადაჭრას ყველა მძიმე საკითხები (ტაში).

**„პოალეიციონ"-ის პარტიისაგან ყრილობას მიესალმა ამხ. რატნერი.**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ებრაელთა კომუნისტურ მსოფლიოს კავშირის პოალეიციონის ორგანიზაციის პატარა ჯგუფის სახელით სალამი უძღვნა საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა საბჭოების დეპუტატების პირველ ყრილობას. ებრაელი პროლეტარებში, მცხოვრებნი სხვა და სხვა ახარეებში, რომელნიც იმყოფებიან ერთნაირ წარმოებით პირობებში, ყველგან ეწევიან რევოლიუციონურ ბრძოლას ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობათ, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად და აქვთ საბოლოოდ მიზნათ დასახული კომუნიზმი კომუნისტურ კავშირის პოალეიციონის ფარგლებში. რუსეთში ოქტომბრის პირველ ზარის ხმაზე, ისინი გვერდში ამოუდგნენ ოქტომბრის წითელ დროშებს და სისხლით დაამტკიცეს ოქტომბრის რევოლიუციისადმი ერთგულება. პოლონეთში და სხვა ადგილებში ჩვენი ამხანაგები ათი ათასობით განაგრძობენ ბრძოლას კაპიტალისტებისა და კაპიტალისტურ ძალაუფლების წინააღმდეგ. ამისათვის დღევანდელი დღე, დღე ქართველი პროლეტარიატის ზეიმისა სადღესასწაულოა საერთაშორისო პროლეტარიატისა და აგრეთვე ჩვენიც. ჩვენ მივესალმებით ამ დღეს, როგორც წლის თავს იმ წუთისა, როდესაც სოციალისტურმა რევოლიუციამ იფეთქა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბუდეში, რომელიც სამი წლის განმავლობაში ზურგში მახვილს სცემდა მუშების და გლეხების საბჭოთა ფედერაციას. ჩვენ ვესალმებით ამ დღეს, როგორც წლის თავს იმ მომენტისა, როდესაც საქართველოს ხალხმა გვერდი აუხვია თავიანთ გაუბედავ, ბურჟუაზიასთან შეთანხმების მომხრე ბელადებს, მენშევიკებს და თავისი ბედი ჩააბარეს კომუნისტურ პარტიის მაგარ და ურყევ ხელთ.

ჩვენ ვესალმებით ამ დღეს, როგორც სიმბოლოს სიმაგრისას, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ერთი წლის წინეთ და როგორც დასაწყისს სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობისა. ჩვენ ვესალმებით ამ დღეს, როგორც წლის თავს იმ მომენტისას, როდესაც წითელ ფედერაციის საერთო ნიადაგი გაფართოვდა და გამაგრდა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის სიმძიმე და მძიმე ტვირთი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას წილად ხვდა რვა წლის იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენის მიზნის სახით, ამ ძნელ საქმეს მუშათა და გლეხთა ძალაუფლება დასძლევს მიუხედავად მსოფლიო კონტრრევოლიუციის სხვადასხვა ხრიკებისა და გველური სისინისა. ჩვენ გვწამს, რომ საბჭოები და ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, ერთმანეთთან შედუღებულნი, კომუნისტურ ინტერნაციონალის საერთო ხელმძღვანელობით, გამარჯვებულნი გამოვლენ საერთაშორისო კაპიტალთან უკანასკნელ ჭიდილში.

მოგესალმებით რა ჩვენი მცირე, მაგრამ მუშათა და გლეხთა ძალა-უფლებასთან მჭიდრო კავშირის მგრძნობელი ჯგუფის სახელით, დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს საბჭოები, რომელნიც ეყრდნობიან მშრომელთა ფართო მასსებს, სასიქადულოთ შეასრულებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა ხრიკებისა.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას საქართველოში!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ მასების საერთაშორისო კავშირს კომუნისტურ ინტერნაციონალის საერთო ხელმძღვანელობას ქვეშ!

(ტაში, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

შემდეგ წაკითხულ იქმნა მისასალმებელი წერილი ჩვენი მოხუცი ამხანაგის მიხა ჩოდრიშვილისა, რომელიც დღეს ავადმყოფი მწოლარეა და ყრილობას ვერ დაესწრო. შემდეგ სიტყვა მიეცა ამხ. ზომლეთელს თავის მისასალმებელი ლექსის წაკითხვით.

## რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობისათვის

**ლონდონი.** 19 თებერვალი, (რადიო). „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს: საფრანგეთის მთავრობა იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ისეთი სავაჭრო კოდექსის უქონლობის გამო, რომელიც მიღებულია განათლებულ ქვეყნებში, უცხოელი ვაჭრებს შეუძლიათ რუსეთთან ვაჭრობა მხოლოთ თავიანთ საკუთარ სავაჭრო კანონების საფუძველზე. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, სწერს „დეილი ტელეგრაფი", საფრანგეთი მოითხოვს რუსეთში კაპიტულაციების რეჟიმის შემოღებას. მერე, იგივე გაზეთი იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ განაპირა სახელმწიფოებს მიმართა ნოტით რუსეთის ვალების შესახებ. საფრანგეთის ნოტაში ნათქვამია: საფრანგეთის მთავრობა აპირობს ლონისძიების მიღებას საფრანგეთის ინტერესების უზრუნველსაყოფელათ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და რომ საფრანგეთი წინადადებას მისცემს მათ, რათა მათ განსაზღვრული პირობა დასდონ, რომლითაც ისინი მოვალეობას იკისრებენ წინანდელ მფლობელების საკუთრების ყოველ უფლება, დაკარგული მათ მიერ რევოლიუციის დროს. საფრანგეთის მთავრობა ამას გარდა მოითხოვს, რომ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილმა სახელმწიფოებმა იკისრონ რუსეთის ვალის სათანადო ნაწილი და პასუხისგება კერძო პირების დაკმაყოფილებაში იმ ზარალისთვის, რომელიც მათ მიაყენეს რევოლიუციამ. ეს მთავრობები, ნათქვამია ნოტაში, მოვალენი იქნებიან აღადგინონ საფრანგეთის მოქალაქეთა და საზოგადოებათა ყველა უფლებანი, გაუქმებულნი საბჭოთა მთავრობის მიერ.

ხსენებული ნოტა გაეგზავნა ლიტვას, ლატვიას და ესტონიას.

**პარიზი.** 23 თებერვალი, (რადიო). გაზეთი „ავენირ"-ი ეხება რა საფრანგეთის რუსეთთან დაახლოებას, სთვლიან თავის მოვალეობათ რომ „ხელახლა აჩვენონ საფრანგეთის მტერ-მოყვარეთ, რომ საფრანგეთი არავითარ ფარულ მოლაპარაკებას არ აწარმოებს რუსეთთან, და რუსეთის მიმართ არ იჭერს არავითარ სხვა პოლიტიკას, გარდა იმისა, რაც საფრანგეთის მთავრობამ უკვე ლოიალურად აცნობა ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს. ეს პოლიტიკა არ ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთთან თანამშრომლობის რაიმე ცდას: პირიქით უნდა, რომ ეს თანამშრომლობა მტკიცე საფუძველზე ააგოს, ყოველივე აუცილებელ გარანტიის ძიებებით, ურომლისოდაც შეუძლებელი რაიმე საერთაშორისო შეთანხმება".

ამ მოსაზრების ძალით გაზეთი ამტკიცებს, რომ საფრანგეთი არავითარ მოლაპარაკებას არ დაიწყებს საბჭოთა მთავრობასთან იმ დრომდი, სანამ რ. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობა არ აასრულებს ზოგიერთ წინასწარ პირობებს. მხოლოდ ამ პირობების ასრულების შემდეგ, საფრანგეთი აჩქარდება დიდ დამშეულ ქვეყნის დასახმარებლად. გაზეთის აზრით, რუსეთის აღდგენა არ უნდა გადაიქცეს საექვო ვლად, ის არ უნდა დაემგზავსოს ევროპის სახელმწიფოებისათვის სასწრაფო ხტომას. კითხვა იმაში კი არაა, რუსეთის დახმარების და მისი ახალშენად გადაქცევის საკითხში ვინ გაასწრობს, არამედ იმაში, რომ იმოქმედონ ერთად, რადგანაც არც ევროპაში, არც ამერიკაში არ არის იმდენად გავლენიანი ნაცია, რომელსაც შეეძლოს რუსეთის ნანგრევების აღდგენა საკუთარი ძალებით, რაც შედეგად მოყვა 7 წლის ანარქიას. საფრანგეთს, რა თქმა უნდა, როგორც რუსეთის ყოფილ მოკავშირეს, განზრახული აქვს შეასრულოს თვალსაჩინო როლი რუსეთის აღდგენის საერთო საქმეში, და საფრანგეთს საფუძველიც აქვს იფიქროს, რომ მოსკოვის მთავრობა ხალისით მიიღებს დახმარებას უფრო საფრანგეთიდან, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოდან.

**ბერლინი** 1 თებერვალი, „ნოვი მირ"-ს მოყავს შემდეგი ამონაწერი „ტან"-იდან: საბჭოთა მთავრობა, რაც არ უნდა სთქვან მის საწინააღმდეგოდ, არის ერთად ერთი ავტორიტეტული მთავრობა, რომელსაც უნარი აქვს აწარმოოს ნაციონალური რუსული პოლიტიკა. თუ ეს მთავრობა ლაპარაკობს რუსეთის ხალხის სახელით, ეს განცხადება არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვებულ იქნას. ეს ფაქტი უნდა მიიღონ მხედველობაში იმ ერებმა, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ რუსეთს. საფრანგეთმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა რუსეთის საამპეკუნოდ გახდის ცდაში, ან მისი განვითარებისათვის რომელიმე სახის დაბრკოლების გაწევაში.

## ნორჩი მუხა

I

ქარმა დაჰბერა... ტყე-მინდორი შეიძრა, შეკრთა!
მზე მოეფარა ღრუბელთ გროვას, დაბნელდა არე!
ელვამ ცის სივრცე გადასერა ცეცხლის ენებით
და ჭექა-გრგვინვა, ზარდამცემი გაისმა მწარე!!!

—

ტრიალ მინდორზე, შორს გადაშლილ გმირ ბებერ მუხას
წივილ-კივილით დაეტაკა მთის ქარიშხალი
მუხა არ შედრკა, გაუმაგრა ზურგი ქარიშხალს!
...და კვლავ გმირულად, მოიგერა თვისი მტარვალი!

—

მაგრამ გავარდა! იგრიალა საოცრად მეხმა.
ელვა გველივით გაიკლაკნა ცის ბნელ უფსკრულში...

და ცეცხლის ენა შურდულივით ჰამონატყორცნი
ბასრ მახვილივით გაეტარა გმირ მუხას გულში,

II

შეწყდა ქუხილი, ქარიშხალმა გაიგრიალა,
გადაირეკა ღრუბელთ გროვა, გამოჩნდა ზეცა
და შორს მინდორზე, დაძლეული ბებერი მუხა
მკერდგაპობილი, გულგამწვარი, პირქვე დაეცა.

—

მის ნამსხვრევებზე, სამფეროვან დროშისა ნაცვლად
სწრაფ აღიმართა, დროშა ძმობის, დროშა წითელი.
მის ძველ ფესვებზე, ნორჩი მუხა ამოიფურჩქნა
და წითელ დროშას, მორცხვად, ნაზად მოჰკიდა ხელი.

კაკი-ეწრელი.

## რაჭის მაზრაში მომხდარი ახალი ამბავი

რაჭის მაზრის მცხოვრებთ თავს დაატყდა მრავალგვარი უბედურობა, რაც მას ცხოვრების საარსებო წყაროს უსპობს. ჩვენ არა-ერთხელ აღგვინიშნავს კონკრეტიულათ ის მიზეზები რაც ამ მაზრის გლეხების უბედურობას შეადგენს. მთავარი მიზეზი ამ უბედურებისა გამოიხატება უმიწობაში გამუდმებულ ქრონიკულ შიმშილში, მოუსავლობის ნიადაგზე, ბუნების საშიხელი და მრისხანე სტიქია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის ძალყოფას აღემატება, მაგალითად ხანგრძლივი და დიდი თოვლით რაჭის მაზრაში, რაც ხშირი მოვლენა არის ყინვები და სხვა... მაგრამ ის ახალი უბედურება რომელიც ამ ორი კვირის წინეთ ეწვია ამბროლაურის რაიონის სოფელ-ღვიარას, უბედურება არა მარტო ამ სოფელს არ გაუცდია წინეთ, არამედ მთელ მაზრაშიაც. ჩვენ ამ ახლო წარსულიდან ვიცით 1919 წელში გორის დანგრევის მაგალითი, საშინელმა მიწის ძვრამ მიწასთან გაასწორა რამოდენიმე ათასი სული მცხოვრების ყოფა ცხოვრება... სოფელი ღვიარა, რომელიც აღნიშნულ რაიონის სადმელის თემში შედის და დღეს აღარ არსებობს;გაჩნდა დიდი მეწყერი, მოედვა მთელ მხარეს და ორმოცი კომლი კაცის სახლკარი, პურ-მარანი, შინაური საქონელი და სხვა დედამიწის ქვეშ მოაქცია. თვით ადამიანთა მსხვერპლი კი არ ყოფილა. მეზობელთ სოფლების: ბოსტანას, და ჩორჯოს მცხოვრებთა ენერგიული დახმარების წყალობით.

ეს უბედური სტიქიური მოვლენა სოფლისთვის არის დაღუპვა და მთელი მაზრის მაშტაბით მოასწავებს ნავთის ცეცხლზე გადასხმას, იმ დროს როდესაც რაჭველი გლეხის მამაკაცების ხუთ პროცენტზე მეტი თითქმის მთელი წლების განმავლობაში მოდებულია როგორც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებს და აგრეთვე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების მუშაობის საძებნელათ, რომ რაიმე მიაწოდოს გარედან თავის სიმშილით განაწამებ ცოლშვილს...

აი ამ დროს ასეთ პირობებში მთელ მაზრის სარჩენათ—საპატრონოთ დაედვა რამოდენიმე ასი სული მცხოვრები ქალი და კაცი სოფელ ღვიარისა. საჭიროა სწრაფი და ენერგიული დახმარება გაეწიოს დაღუპულ სოფელ ღვარის გადარჩენილ მუშებს. პირველ ყოვლისა მიღებულია ადგილობრივი სამაზრო სელისუფლების მიერ სათანადო ზომები რაც იმაში გამოიხატება, რომ გადარჩენილი გლეხები შეხიზნული არიან მეზობელ სოფლებს დროებით, და არის განკარგულება მაზრის მაშტაბით სურსათით, ტანისამოსით, და მრავალი სხვით აღმოუჩინონ სასწრაფო დახმარება მათ. ეს არის ერთი მხარე დახმარებისა. საჭიროა ჩვენმა მთავრობამ გასცეს სასწრაფო განკარგულება მაზრაში, რათა ეს გლეხები პირველ რიგში გადაყვანილ იქნენ ჩვენი რესპუბლიკის უკეთეს რაიონში გაზაფხულისათვის, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ცხადია აქედან იგულისხმება ყველაფერი და ყოველნაირი დახმარება მთავრობისა, რაც ეხლავე უნდა იქნეს შესრულებული რათა გადავარჩინოთ ფიზიკურად სრულიად დაღუპვას ეს მრავალნაირათ განაწამები მუშები.

დ. ნახარიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ქართულ ჟურნალგაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს საჩხერის რევკომის თავმჯდომარეს გადაეწყვიტოს აკაკი წერეთლის სახლებში რკინის-გზელი მუშების ჩასახლება. ამის შესახებ გაჩაღდა მიწერ-მოწერა, ალაპარაკდა საზოგადოება და ყოველივე ეს სულ ტყუილ-უბრალოდ. **განცხადება თავიდან ბოლომდე სიყალბეს შეიცავს.** რაც რევკომის თავმჯდომარეს და არც რომელიმე რევკომის წევრს ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია. პირიქით, რევკომი ყოველ ღონეს ხმარობდა დიდებული პოეტის სახლკარის დასაცავად. პირადად მე ეხლაც ვცდილობ, შევაკეთო პოეტის სახლის სახურავი, რომლიდანაც სახლში წვიმა ჩადის და მით მთელი შენობა ზიანდება. სჩანს პატივცემული კავშირი ვიღაცას შეცდომაში შეუყვანია. ყოველ შემთხვევაში ასეთი დაუჯერებელი და შეუმოწმებელი ცნობის პრესაში გამომზეურება არ ეპატიება მწერალთა კავშირის საბჭოს. მეტი სიფრთხილე, დაკვირვება და საქმის ცოდნაა საჭირო.

სასურველია ვიცოდეთ, ვის რათ დასჭირდა საზოგადოებრივ აზრის აღელვება ასეთ ცრუ და მოჭორილი ხმებით? ესეც ხომ სხვა მიზნისთვის არ იყო საჭირო? კარგს ინებებს მწერალთა კავშირის საბჭო თუ გვაცნობებს რომელი წყაროდან მიიღო მან ასეთი ცნობა.

საჩხერის რევკომის თავმჯდომარე

ვალიკო კუპატაძე.

1922—11—24.

სარედაქციო კოლეგია.

## განცხადება:

სახალხო სასამართლო მე-10 უბნისა ქ. ტფილისისა იწვევს, რათა გამოცხადდეს სასამართლოში ორი თვის განმავლობაში დღეიდან ამა განცხადებისა უგზო-უკვლოდ დაკარგულს პავლე კონსტანტინეს ძე გუნალის, როგორც მოპასუხეს, ძიებაზე მისი მეუღლისა ვერა მოსეს ასული გუნალისა მათი განქორწინების შესახებ.

სახალხო მოსამართლე (ხელმოწერილია).

— ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1922 წ. თებერვლის 8-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის პელაგია ივანეს ასულის რადიონოვის ანდერძის წერილი, შედგენილი ქალ. ტფილისის ნოტარ. ალექსანდრე ივანეს მიტკიევიჩის მიერ 1911 წ. 12 ოქტომბრის დღეს, შეტანილი მის ნოტარ. მიტკიევიჩის 1911 წ. აქტის წიგნის მე-6 ნაწილში, რომელიც ეხება უძრავ ქონებას, გვერდი 43 და 44 № 39.

სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.

## დაიკარგა:

16 იანვარს 1922 წელს, დაეკარგა ვლადიმერ სარდიონის ძე გვენცაძეს სხ. და სხვა მოწმობები, მასთან ერთად მოწმობა „ხაშურის სამხედრო ხელმძღვანელისაგან მოცემული, რომ ვითვლები სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად 26 და 84 მუხლის ძალით: № 810, ჩაითვალოს გაუქმებულად.